F-171
1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კ რ ე ბ უ ლ ი

**11-12**

# С Б О Р Н И К
## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ნოემბერ—დეკემბერი

თბილისი 1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

## 11-12

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ნოემბერი—დეკემბერი

კ. მარქსის სახ. საქ. სს
სახელმწიფო რესპუბლიკ
ბიბლიოთეკა

თბილისი 1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
# 1973 წ. 2 აგვისტოს ბრძანება № 525

**მშრომელთა განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში (საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მასალების საფუძველზე)**

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეისწავლა და განიხილა მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციის საქმე განათლების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების განათლების სამინისტროებში და სამხრეთ ოსეთის საოლქო, 58 საქალაქო და რაიონულ სახალხო განათლების განყოფილებაში, აგრეთვე მთელ რიგ სკოლასა, სკოლა-ინტერნატსა და სხვა საბავშვო დაწესებულებაში.

ჩატარებული შემოწმებით გამოვლინდა:

1. ბევრ განათლების განყოფილებასა და სკოლაში არ ხდება დადგენილი წესის შესაბამისად განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა (ზუგდიდი, ზესტაფონი, ბორჯომი). ბოლნისის რაიონში მშრომელთა წერილებისა და საჩივრებისათვის სრულებით არ არის შემოღებული სააღრიცხვო ჟურნალები;

2. უხეშად ირღვევა მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და არსებითად მათი გადაწყვეტის ვადები (აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილება, ქ. ქ. ქუთაისის, ტყვარჩელის, ცხინვალისა და გაგრის განათლების განყოფილებები).

ასეთივე მდგომარეობაა რიგ სხვა რაიონსა და სკოლაში.

3. მშრომელთა განცხადება—საჩივრების განხილვის ვადების უხეშ დარღვევასთან ერთად, ხშირად, არსებითად სწორად არ ხდება მათი გადაწყვეტაც (ბოლნისის, ვანის, ახალქალაქის და სხვა რაიონული განყოფილებები).

4. ქალაქებსა და რაიონებზე განსახილველად გადაცემული მშრომელთა ბევრი განცხადება—საჩივარი, რომლებშიაც ხშირად მტკივნეული საკითხებია დასმული, არ არის საკონტროლოდ აყვანილი (ქ. თბილისის განათლების განყოფილება, ოჩამჩირისა და გაგრის რაიონული განყოფილებები და სხვ.).

5. ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები და საოლქო და რაიონული (ქალაქის) განათლების განყოფილებები, იშვიათად ან სრულებით არ ამოწმებენ მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობას მათდამი დაქვემდებარებულ სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში, არ ისმენენ შედეგებს კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე (აფხაზეთის ასსრ, ქ. ქ. ბათუმის, ქუთაისის, გორის და ფოთის განათლების განყოფილებები).

6. ზოგიერთ განათლების განყოფილებაში არ არის მოწესრიგებული მშრომელთა მიღების საქმე, არ არის გამოყოფილი მიღების დღეები და საათები, არ ხდება მიღებაზე მოსულ მშრომელთა აღრიცხვა დაწესებული ფორმის ჟურნალებში.

7. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სისტემატურად იხილავს მშრომელთა მიღებისა და განცხადება—საჩივრების განხილვის მდგომარეობას, იღებს საჭირო ზომებს, მაინც, სამინისტროს ზოგიერთ სამმართველო—განყოფილებაში ადგილი აქვს მშრომელთა წერილების დაგვიანებით განხილვის ცალკეულ შემთხვევებს და ზოგჯერ მშრომელთა წერილებისადმი არაგულისხმიერ დამოკიდებულებასაც კი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყველა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) სისტემატურად, ექვს თვეში ერთხელ, გაუკეთონ ანალიზი მშრომელთა განცხადება—საჩივრებს, დაწვრილებით შეისწავლონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი გამომწვევი მიზეზები და მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად;

ბ) არ დაუშვან მშრომელთა განცხადება—საჩივრების განხილვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით დადგენილი ვადების დარღვევა. წერილის ყველა ავტორს პასუხი გაეცეს დროულად და დაუგვიანებლად;

იმ შემთხვევაში, როდესაც მშრომელთა წერილების განხილვისა და საბოლოოდ გადაწყვეტისათვის აუცილებელია ერთ თვეზე მეტი დრო, ეს შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ დაწესებულება—ორგანიზაციის ხელმძღვანელის სპეციალური ნებართვით, დაგვიანების მიზეზების შესახებ ეცნობოს ავტორებს;

გ) მოქალაქეთა განცხადება—საჩივრები განიხილონ გულდასმით, საფუძვლიანად და წერილების ავტორებს აცნობონ სწორი და ამომწურავი პასუხები;

დ) სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს განცხადება—საჩივრებზე პასუხები, ყველა შემთხვევაში, უნდა ეცნობოთ არაუგვიანეს 15 დღისა;

ე) განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულება-ორგანიზაციაში, მათ შორის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში, დადგენილი წესის შესაბამისად სპეციალურ ჟურნალებში აღრიცხონ ყველა განცხადება—საჩივარი,

ვ) კონტროლზე აიყვანონ ყველა ის განცხადება—საჩივარი, სადაც მტკივნეული და საყურადღებო საკითხებია დასმული, მკაცრი კონტროლი განახორციელონ დაყენებული საკითხების სწორი და დროული გადაწყვეტისათვის;

ზ) სისტემატურად შეისწავლონ დაქვემდებარებულ დაწესებულება—ორგანიზაციებში, სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში მოქალაქეთა განცხადება—საჩივრების განხილვის მდგომარეობა და შედეგები მოისმინონ და განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე;

თ) ასსრ განათლების მინისტრებმა და მათმა მოადგილეებმა, განათლების განყოფილებათა გამგეებმა და ყველა სხვა დაწესებულება—ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა პირადად აწარმოონ მოქალაქეთა მიღება, რისთვისაც შემოიღონ მოსახლეობისათვის ხელ-

ბიბლიოთეკა

საყრელ დროს, სპეციალური დღეები და საათები, საჭირო შემთხვევაში—საღამოს საათებშიაც.

მტკიცედ დაიცვან მიღების დღეები და საათები. რაიონულმა (ქალაქის) ორგანიზაციებმა მიღების დროის შესახებ აცნობონ ადგილებს და არ დაუშვან დღეებისა და საათების გადატანა,

ი) განათლების სამინისტროსა და განათლების სხვა ორგანოების ინსპექტორ—მეთოდისტებმა მივლინების დროს. შეამოწმონ ადგილებზე განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა, შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ადგილზევე გაატარონ სათანადო ღონისძიებანი და შედეგების შესახებ მოახსენონ მიმვლინებელ ორგანიზაციებს.

2. გაფრთხილებულ იქნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო—განყოფილებათა უფროსები და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ყველა დაწესებულება—ორგანიზაციის ხელმძღვანელები იმის შესახებ, რომ მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრებისადმი ფორმალური, არაგულისხმიერი დამოკიდებულებისათვის, მშრომელთა წერილების განხილვისათვის დაწესებული ვადების დარღვევისათვის მათ მიმართ მიღებულ იქნება უმკაცრესი ზომები.

3. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მასალები დაწვრილებით იქნა გაცნობილი და განხილული აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონული და საქალაქო განათლების განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკურ თათბირზე მ/წლის 29 ივნისს.

4 გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძემ) სისტემატურად გამოაქვეყნოს მასალები მშრომელთა წერილებში დასმულ საკითხებზე და ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

5. სკოლების სამმართველომ, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან და კადრების განყოფილებასთან ერთად, მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში დაწვრილებით შეისწავლოს მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა განათლების ორგანოებში, სკოლებში სკოლა-ინტერნატებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში და შედეგების შესახებ მოახსენოს კოლეგიას.

6 ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებამ (ამხ. ვ. კეშელავამ,:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. გადასინჯოს ინსტრუქცია მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის შესახებ და თვის ვადაში წარმოადგინოს პროექტი შესატანი ცვლილებების შესახებ.

2. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის მშრომელთა საჩივრებისა და წინ-დადებების ბიუროს მოხსენებითი ბარათი გაამრავლოს და დაუგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქისა და ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებას.

7. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულში.

8. მინისტრის თანაშემწემ ამხ. ლ. მამალაძემ თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 25 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი.
27 ივლისი, 1972 წელი

# ყოფაქცევის ტიპური წესები მოსწავლეთათვის

## I—III კლასების მოსწავლეთათვის

1. ბეჯითად ისწავლე, ყურადღებით უსმინე მასწავლებელს, გულმოდგინედ და დამოუკიდებლად შეასრულე ყველა მისი დავალება, გაკვეთილზე კარგად მოიქეცი, მეცადინეობაზე არ დაიგვიანო.

2. მონაწილეობა მიიღე შრომაში, შენი კლასის საქმიანობაში, დაეხმარე ამხანაგებს, რათა უკეთ ისწავლონ და იშრომონ.

3. გაუფრთხილდი სასკოლო და სხვა საზოგადოებრივ ქონებას, შენსა და ამხანაგების ნივთებს. დაიცავი მცენარეები და ცხოველები.

4. ყოველდღე შეასრულე დილის გამამხნევებელი ვარჯიში, მუდამ სუფთად და ფაქიზად იყავი.

5. დაიცავი დღის რეჟიმი. სასარგებლოდ გაატარე თავისუფალი დრო, ბევრი იკითხე, იმეცადინე წრეში.

6. სანიმუშოდ მოიქეცი სკოლაში, შინ, ქუჩაში. შეხვედრისას მიესალმე მასწავლებლებს, სკოლის სხვა მუშაკებს, ნაცნობებსა და ამხანაგებს. გზა და ადგილი დაუთმე უფროსებს. დაიცავი ქუჩაში მოძრაობის წესები.

7. გაუგონე მშობლებსა და ოჯახის უფროს წევრებს, დაეხმარე მათ საოჯახო საქმეებში, იმეგობრე ამხანაგებთან და იზრუნე პატარებზე.

8. შეასრულე მასწავლებლებისა და მორიგე მოსწავლეთა მოთხოვნები.

## IV—VIII კლასების მოსწავლეთათვის

1. გულმოდგინედ დაეუფლე ცოდნას. მუყაითად ისწავლე და იშრომე, გაკვეთილებზე იყავი ყურადღებიანი, აქტიური.

2. შინ და სკოლაში იშრომე საერთო სარგებლობისათვის. შრომითი დავალებებისა და პრაქტიკული მუშაობის შესრულებისას მკაცრად დაიცავი უსაფრთხოების ტექნიკის წესები.

3. აქტიური მონაწილეობა მიიღე კლასისა და სკოლის საზოგადოებრივ მუშაობაში.

4. გაუფრთხილდი სახალხო ქონებას, წესიერად მოექეცი ნივთებს, დაიცავი ბუნება, სისუფთავე.

5. იმეცადინე ფიზკულტურასა და სპორტში, დაიცავი პირადი ჰიგიენის წესები.

6. თავისუფალ დროს ჩაები სასარგებლო საქმეებში: კითხვაში, ტექნიკურ და მხატვრულ შემოქმედებაში, გონივრულ თამაშებში.

7. დააფასე შენი და სხვისი დრო, იყავ ზუსტი, დაიცავი დადგენილი დღის რეჟიმი.

8. სამაგალითოდ მოიქეცი, იყავ მორიდებული, თავაზიანი, წინდახედული, წესიერად ჩაცმული. მტკიცედ დაიცავი ქუჩაში მოძრაობის წესები.

9. პატივი ეცი მშობლებს, დაეხმარე მათ საოჯახო საქმეებში.

10. კეთილსინდისიერად შეასრულე მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მუშაკების ყველა განკარგულება, აგრეთვე მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებანი.

## IX—X(XI) კლასების მოსწავლეთათვის

1. შეუპოვრად და გულმოდგინედ დაეუფლე მეცნიერების საფუძვლებსა და თვითგანათლების ჩვევებს.

2. აქტიური მონაწილეობა მიიღე საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, შენი თავი მოამზადე პროფესიის შეგნებული არჩევისათვის. შრომითი დავალებების შესრულებისას მკაცრად დაიცავი უსაფრთხოების ტექნიკის წესები.

3. აქტიური მონაწილეობა მიიღე სკოლის, ქალაქის, სოფლის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4. იზრუნე სახალხო საკუთრების, მშობლიური ბუნების სიმდიდრეთა დაცვისა და გამრავლებისათვის.

5 სისტემატურად იმეცადინე ფიზკულტურასა და სპორტში, მოემზადე სა ჭოთა სამშობლოს დასაცავად.

6. დაეუფლე თანამედროვე კულტურასა და ტექნიკას, განივითარე შენი შესაძლებლობანი შემოქმედების სხვადასხვა დარგში.

7 გონივრულად დაგეგმე და გამოიყენე დრო, იყავ ზუსტი, ისწავლე შენი შრომის სწორად ორგანიზება.

8. შეასრულე სოციალისტური თანაცხოვრების ნორმები; ქცევის კულტურის ღირსეული მაგალითი უჩვენე უმცროს ამხანაგებს. იყავ შეურიგებელი ამორალური და ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი.

9. იზრუნე სასკოლო კოლექტივის შეკავშირებისათვის, გაუფრთხილდი და განავითარე მისი სასარგებლო ტრადიციები, იყავ პრინციპიული და პატიოსანი ამხანაგი,

10. პატივი ეცი მშობლებს, მუდმივი მზრუნველობა გამოიჩინე ოჯახის ყველა წევრის მიმართ, დაეხმარე მათ საოჯახო შრომაში.

11. პატივისცემით მოეპყარი მასწავლებლის შრომას, შეასრულე და აქტიურად დაუჭირე მხარი პედაგოგების მოთხოვ ებს, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 6 სექტემბრის ბრძანება № 591

## სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ახალგაზრდობაში მასობრივი მოძრაობის გასაშლელად დევიზით „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს —საშუალო განათლება“ პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის დათვალიერების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ლაგოდეხის, სიღნაღის, თიანეთის, მცხეთის, წითელწყაროს, ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონსა და ქალაქში გაშლილია პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის სრულიად საკავშირო დათვალიერების დევიზით „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს—საშუალო განათლება“.

ადგილზე შექმნილი რაიონული საორგანიზაციო კომისიების მიერ გატარებული პრაქტიკული ღონისძიებანი საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად საღამოს (ცვლიანი) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფისა და ახალგაზრდობაში ცოდნის პროპაგანდის გაძლიერებისათვის;

სისტემატურად ხდება პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადება და სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლება.

კომისიები სისტემატურად ისმენენ პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტებისა და სკოლების ხელმძღვანელთა ანგარი-

შებს დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ და სახავენ სათანადო ღონისძიებებს ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად საზოგადოებრივი დათვალიერების საქმეში არსებული ერთგვარი წარმატებებისა, შეინიშნება ნაკლოვანებებიც: 1972 წელს იდეოლოგიურ დამთვალიერებელ კომისიებს საკავშირო ჯილდოზე არცერთი კანდიდატი არ წარმოუდგენიათ, რის გამოც დათვალიერების ჩამტარებელ რესპუბლიკურ ორგკომიტეტს არ მიეცა საშუალება საკავშირო რომელიმე ჯილდოზე კანდიდატების წარდგენისა.

არაზუსტი ცნობებით, სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ რვაკლას და საშუალო განათლების არმქონე 16—29 წლის ასაკის ახალგაზრდებიდან—ორჯონიკიძის რაიონში—1208, საჩხერის რაიონში—1641, გორის რაიონში—3117, ხაშურის რაიონში—2675, საგარეჯოს რაიონში—2235 და ჭიათურაში—2968—სწავლისგარეშე დარჩენილი.

რესპუბლიკის ზოგიერთ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას დათვალიერების ჩასატარებლად დღემდე პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამთ. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ი. შარია), საქსოვი ფაბრიკის (დირექტორი მ. ხარღპიბა) ხელმძღვანელების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობის შედეგად არ არის დაზუსტებული სიები, 16—29 წლის ასაკის მომუშავე ახალგაზრდების, რომლებსაც არა აქვთ რვაწლიანი ან საშუალო განათლება.

დასახელებული საქსოვი და სამკერვალო ფაბრიკების ხელმძღვანელები არავითარ დახმარებას არ უწევენ იმ სკოლებს, სადაც მათდამი დაქვემდებარებულ ფაბრიკებში მომუშავე ახალგაზრდები სწავლობენ. არ აქვთ შედგენილი წარმოებაში დასაქმებული ახალგაზრდების სწავლების სამწლიანი პერსპექტიული გეგმა, არაა შექმნილი ახალგაზრდებს შორის სათანადო მუშაობის ჩასატარებლად საორგანიზაციო კომისიები, მუშა-მოსამსახურეთა ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების საკითხები არ აქვთ გათვალისწინებული სოციალური განვითარების გეგმებში იმ ანგარიშით რომ 1975 წლისათვის ფაბრიკებში დასაქმებული არც ერთი ახალგაზრდა არ დარჩეს საშუალო განათლების გარეშე. ხსენებული ფაბრიკების ხელმძღვანელობა არ იცნობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1939 წლის 5 ნოემბრის № 123 დადგენილებას წარმოებაში მომუშავე მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ შეღავათების გავრცელების შესახებ. ქ. სოხუმის განათლების განყოფილებამ 1972 წლის 7 თებერვალს სამკერვალო ფაბრიკის დირექტორ ი. შარიას გაუგზავნა მიმართვა და თხოვა, გაკვეთილებზე სისტემატურ დისწრების უზრუნველყოფის მიზნით, შვიდი მოსწავლის პირველ ცვლაში გადაყვანა. ი. შარიამ, მიუხედავად შესაძლებლობისა, ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის., ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) კონტროლი დააწესონ საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 2 ოქტომბრის ერთობლივი დადგენილების შესრულებაზე — „სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ახალგაზრდობაში მასობრივი მოძრაობის გასაშლელად დევიზით — „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება".

ბ) პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიაღწიონ იმას, რომ საღამოს (ცვლიანი) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1973—1974 სასწავლო წელს მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შესრულებულ იქნეს.

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საღამოს (ცვლიანი) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალურ—ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტებისა და მათი გადამზადების საქმეს;

ე) განიხილონ და დაამტკიცონ სრულიად საკავშირო დათვალიერების ჩამტარებელი ადგილობრივი კომისიების ანგარიშები და 1973 წლის 1 დეკემბრამდე დამტკიცებული ანგარიშები წარმოუდგინონ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს. ანგარიშებთან ერთად რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს წარმოუდგინონ აგრეთვე დასაჯილდოებელთა სიები.

2. დათვალიერების ჩამტარებელ კომისიებთან ერთად:

ა) დადგენილი ფორმებით ზუსტად აღრიცხონ 15—29 წლის ასაკის ახალგაზრდები, რომლებსაც არ აქვთ რვაწლიანი ან საშუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალო განათლება და მასალები წარმოუდგინონ განათლების სამინი-სტროს ა/წლის 15 სექტემბრამდე;

ბ) საზოგადოებრივ დათვალიერებაში ფართოდ ჩააბან კულ-ტურის სახლები, ბიბლიოთეკები და ამავე მიზნით გამოიყენონ პრე-სა, რადიო, ტელევიზია და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუა-ლებანი;

გ) იზრუნონ მოსწავლეთა გაკვეთილებზე სისტემატური დას-წრებისა და მაღალი აკადემიური წარმატებისათვის, მინიმუმამდე დაიყვანონ გაცდენები და ყოველმხრივ დახმარონ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს ცოდნის დონის ამაღლების საქმეში;

დ) შეისწავლონ და ანაზოგადონ იმ სკოლების გამოცდილე-ბა, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის კულტურული დონის ამაღლებისათ-ვის.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინი-სტროს კოლეგიის 19 3 წლის 22 ავგის-ტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 13 სექტემბრის ბრძანება № 603

### მიმდინარე წლის 17 ივნისს მესტიის რაიონში მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 27 ივლისის № 452 დადგენილებაში აღნიშნა, რომ ა.წ. 17 ივნისს მესტიის რაიონის სოფ. კალის მახლობლად მოხდა მძიმე საგზაო—სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის დროსაც დაიღუპა 7 მგზავრი.

მთავრობის კომისიამ, რომელმაც შეისწავლა ავარიის წარმოშობის მიზეზები, დაადგინა, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლის მიერ დაშვებული შეცდომებისა და გზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო.

ამასთან, გამოირკვა აგრეთვე, რომ არადამაკმაყოფილებელია № 3 ავტოტრესტის გარაჟის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობა. არის ხაზზე არაწესიერ ტექნიკურ მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანების გაშვების, შრომის დისციპლინის დარღვევისა და სხვა ფაქტები. გარაჟის ხელმძღვანელობა არ ზრუნავს მანქანების ტექნიკური შეკვეთების გრაფიკის შედგენად, კვალიფიციური მუშებით გარაჟის უზრუნველსაყოფად, არ მიუწყვია საუბრები მოძრაობის უშიშროების შესახებ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ძალებით არ ჩაუტარებია აღმზრდელობითი მუშაობა მძღოლთა შორის.

მესტია-უშგულის გზა, რომელზედაც მოხდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, მოძრაობის უშიშროების თვალსაზრისით არ იყო წესრიგში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მესტიის რაისაბჭოს აღმასკომის კომისიის მიერ შედგენილი აქტით, იგი ვარგისად იქნა მიჩნეული ზაფხულის პერიოდში ავტობუსის მოძრაობისათვის.

აღვნიშნავ, რომ ზოგიერთ დარღვევასა და ხარვეზს ავტო-ტრანსპორტის ექსპლოატაციის საქმეში განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაშიც აქვს ადგილი.

რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს არა აქვთ სახელმწიფო მანქანების სადგომი. ამის გამო, ცაგერის რაიონის განათლების განყოფილების მანქანა მძღოლის ეზოშია, გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებისა კი — ქ. თბილისში — რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის ტერიტორიაზე და ა. შ. ავტოსადგომი არა აქვს აგრეთვე ავტობუსებისათვის ბევრ ქვემდებარე ორგანიზაციას.

არის ავტომანქანების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევები. ეს განსაკუთრებით ითქმის საშუალო სკოლებისათვის სასწავლო მიზნით გამოყოფილ მსუბუქ ავტომანქანებზე.

გარდა ამისა, მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, ადგილი აქვს მძღოლთა ჯანმრთელობისა და ავტომანქანის ტექნიკური მდგომარეობის დროულად შეუმოწმებლობას, რესპუბლიკის ფარგლებიდან ავტომანქანების თვითნებურად გაგზავნას, ავტომანქანის მიერ გარბენილი კილომეტრების აღრიცხვაზე კონტროლის განუხორციელებლობას, საწვავის გადახარჯვისა და სხვა შემთხვევებს.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ყურადღებას ვაქცევ რა ამ საკითხებს, აღვნიშნავ, რომ დღემდე არადამაკმაყოფილებლად სრულდება განათლების სამინისტროს ბრძანებები ავტომანქანების ექსპლოატაციის შესახებ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 27 ივლისის № 452 დადგენილება „მიმდინარე წლის 17 ივლისს მესტიის რაიონში მომხდარი საგზაო-ტრანსპორტო შემთხვევის შესახებ, რომელსაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი, მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ 1973 წლის 28 ივნისს ვანის რაიონში მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შესახებ საქართველოს სსრ განათლე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის სამინისტროს ა/წლის 6 აგვისტოს № 531 ბრძანების შესასრულებლად.

3. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილებამ (ამხ. ვ. მაქაცარიამ) სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების, მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოებთან ერთად შეისწავლოს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ავტომეურნეობებში მანქანების ექსპლოატაციის საკითხებზე განათლების სამინისტროს მიერ დაშვებულ ბრძანებათა შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს სამინისტროს კოლეგიას ა/წლის 25 ოქტომბრამდე.

4. განათლების სამინისტროს შესაბამისმა სამმართველო-განყოფილებებმა მკაცრი კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 23 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი



მარქსის სახ. [illegible] ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 13 სექტემბრის ბრძანება № 605

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ სასწავლო ტელეგადაცემათა მიღებისა და სწავლებაში გამოყენების მდგომარეობის შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა და მასწავლებელთა დასახმარებლად საქართველოს ტელევიზია სისტემატურად აწყობს სასწავლო ტელეგადაცემებს როგორც დილით, უშუალოდ გაკვეთილებზე მისაღებად, ისე საღამოთი.

1972—73 სასწავლო წელს სასწავლო ტელეგადაცემათა გაკვეთილებზე მიღებასა და სწავლებაში გამოყენებას დამაკმაყოფილებლად გაართვეს თავი თბილისის მე-15, 51-ე, 77-ე, 55-ე, ქუთაისის 25-ე, ზესტაფონის მე-2, ფოთის მე-12, გორის 1-ლი, მე-3, მე-8, ბათუმის მე-2, მახარაძის მე-2 და ზოგიერთმა სხვა სკოლამ.

ამასთან, სასწავლო ტელეგადაცემათა მიღებისა და სწავლებაში მათი გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ შეინიშნება რიგი ნაკლოვანებანი. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელების, სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლების საგრძნობი ნაწილი შეუფასებლობას იჩენს ამ მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორის სწავლებაში დანერგვისადმი. რესპუბლიკის სკოლების ერთ ნაწილს დღემდე არ შეუძენია ტელევიზორები. ზოგჯერ ისინი არასასწავლო დანიშნულებითაა გამოყენებული და ა. შ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ სასწავლო ტელეგადაცემათა მიღებისა და სწავლებაში გამოყენების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ეცნობოს განათლების განყოფილებებსა და სკოლებს, რომ 1973—1947 სასწავლო წელს დილის გადაცემები უშუალოდ გაკვეთილებზე მისაღებად გათვალისწინებულია ფიზიკაში VI და VII კლა

სებისათვის პირველი და მესამე კვირის საშაბათს III და V გაკვეთილებზე, მათემატიკაში VI კლასებისათვის მე-2 და მე-4 კვირას, ხოლო პარასკევობით II და IV კვირას—ქართულ ენასა და ლიტერატურაში V—X კლასებისათვის. მე-3 გაკვეთილზე ტელეგადაცემა გათვალისწინებულია იმ სკოლებისათვის, რომლებიც მეცადინეობას იწყებენ 9 საათზე, ხოლო მე-5 გაკვეთილი იმ სკოლებისათვის, რომლებიც მეცადინეობას იწყებენ 8 საათსა და 30 წუთზე. გარდა ამისა, ყოველ ოთხშაბათს, 17 საათზე და 05 წუთზე, პირველი პროგრამით გადაცემები იწარმოებს რუსული და ინგლისური ენების შემსწავლელთა დასახმარებლად.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ 1973-74 სასწავლო წელს სკოლებში სასწავლო ტელეგადაცემათა მიღებისა და სწავლებაში გამოყენებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად;

ბ) სკოლებმა, რომელთაც არა აქვთ ტელევიზორები, დაუყოვნებლივ შეიძინონ იგი, დადგან ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტში ან ისეთ ოთახებში, სადაც მოსახერხებელია გადაცემათა მიღება;

გ) სამეცადინო ცხრილების შედგენის დროს აუცილებლად გაითვალისწინონ გაკვეთილზე სასწავლო ტელეგადაცემათა მიღება-რასაც საფუძვლად დაუდონ ტელეგადაცემათა განრიგი;

დ) ორგანიზებულად მოაწყონ საღამოს გადაცემათა მიღება;

ე) სისტემატურად შეამოწმონ სასწავლო ტელეგადაცემათა მიღებისა და სწავლებაში გამოყენების მდგომარეობა და მიიღონ საჭირო ზომები ამ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების აღსაკვეთად;

ვ) სასწავლო ტელეგადაცემათა ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ სკოლებისა და საგნის სპეციალისტების დაკვირვების მასალები გამოუგზავნონ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის სასწავლო ტელეგადაცემათა რედაქციას მისამართით—თბილისი, ლენინის ქ. 68;

ზ) სკოლებთან შექმნილი რუსული და ინგლისური ენების შემსწავლელი ჯგუფების სიები გადმოუგზავნონ ტელევიზიის კომიტეტს იმავე მისამართით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ასსრ განათლების სამინისტროებმა, ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა სასწავლო ტელევადაცემათა მიღებისა და სწავლებაში გამოყენების საქმეში ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიში გადმოუგზავნონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი და პოლიტექნიკური სწავლებისა და სასკოლო ტექნიკურ საშუალებათა რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტს 1973 წლის 30 დეკემბრამდე, მისამართით—თბილისი, ნუცუბიძის ქ. № 7.

4) სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) შეისწავლოს სასწავლო ტელევადაცემათა ხელმძღვანელობის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტზე გადაცემის საკითხი და შედეგი მოახსენოს;

ბ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების ცხოვრებაში განხორციელებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 23 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ПРИКАЗ № 610

## МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ОТ 17 СЕНТЯБРЯ 1973 г.

### О нарушениях в оплате командировочных расходов

Проведенной проверкой правильности расходования командировочных средств установлено, что несмотря на неоднократные предупреждения о строгом соблюдении в этом деле законности и установленных правил и инструкции, все же имеют места нарушения в деле оплаты командировочных оформление командировочных удостоверений и т. д.

Так например, Цхинвальким отделом народного образования в продолжении ряда лет оплачивались командировочные расходы участникам однодневного августовского совещания учителей по списку без выписки и оформления соответствующих командировочных удостоверений, оплата производилась вне всякого расчета. Таким путем за последние пять лет незаконно были выплачены—5850 рублей.

В целях изжития такого рода нарушений

Приказываю:

Запретить выплату суточных командированным работникам в пределах административного района, когда командировка продолжается менее двух суток, в частности при проведении однодневных январских и августовских совещаний учителей, а также при командировках в такую местность, откуда командированный по условиям сообщения имеет возможность ежедневно возвращаться к месту постоянного жительства.

2. Строго соблюдать установленные правила оформления командировочных удостоверений; выплату командировочных расходов производить исключительно при предъявлении авансовых отчетов.

3. Строго придерживаться указаниям, предусмотренных приказами Министерства просвещения Грузинской ССР от 29 декабря 1972 г. № 718, 21 марта 1973 г. № 209, 27 апреля г973 года № 321 и 16 мая 1973 года № 353.

4. Зав. отделом народного образования Юго-Осетинской А/О тов. Дзагоеву Г. И. рассмотреть вопрос о незаконной выдаче командировочных расходов участникам августовских совещаний по Цхинвальскому РОНО и определить меру ответственности лиц, допустивших указанное нарушение.

5. Приказ опубликовать в очередном номере сборника приказов и распоряжений Министерства просвещения Грузинской ССР.

Министр посвещения
Грузинской ССР **Т. Лашкарашвили.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება № 652

## ახალი სასწავლო წლისათვის საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მზადების მიმდინარეობის შესახებ

რესპუბლიკის საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მნიშვნელოვანი ნაწილი დროულად შეუდგა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას. შემოწმებით დადასტურდა, რომ გურჯაანის, კაჭრეთის, წითელწყაროს, ბაბუშერას, გантიადის № 1 და № 2, თიანეთის, სოხუმის № 1, ქუთაისის (ჭომის) სკოლა ინტერნატებსა და ბეთანიის საბავშვო სახლში წარმატებით მიმდინარეობდა შენობა-ნაგებობებისა და დგამ-ავეჯის შეკეთება, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობით აღჭურვა, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების შემოზიდვა.

გურჯაანის სკოლა-ინტერნატში ივლისის ბოლოსათვის სასწავლო კორპუსში დამთავრებული იყო სარემონტო სამუშაოები. მიმდინარეობდა კვების ბლოკის რეკონსტრუქცია და კანალიზაციის შეკეთება. სარემონტო სამუშაოებისათვის გამოყოფილი 20000 მანეთიდან ათვისებული იყო ნახევარზე მეტი. ანალოგიური მდგომარეობა იყო წითელწყაროს სკოლა-ინტერნატში, სადაც გამოყოფილი 26000 მანეთიდან ამავე პერიოდისათვის ათვისებული იყო 60%-ზე მეტი. ქუთაისის რვაწლიან სკოლა-ინტერნატში დამაკმაყოფილებლად ჩაატარა სასწავლო, საძინებელი და სამეურნეო კორპუსების კაპიტალური რემონტი ქუთაისის სარემონტო კანტორამ. ახალი ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობით აღიჭურვა ამავე სკოლა-ინტერნატის ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტ-ლაბორატორიები. ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის მზად იყო აგრეთვე ბეთანიის საბავშვო სახლი, სადაც სასწავლო და საძინებელი კორპუსების კაპიტალური შეკეთება დროულად დაამთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა „თბილგრესის“ სარემონტო კანტორამ. შემოწმების მომენტისათვის სამშენებლო ორგანიზაციებს ძირითადად აუთვისებიათ გ[illegible]-ადის № 2 და № 1 სკოლა-ინტერნატების რემონტისათვის გამოყოფილი თანხები.

აღნიშნულ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში შეკეთებულ იქნა დგამ-ავეჯი, დროულად შევროვდა, ნახმარი სახელმძღვანელოები, წარმატებით ხორციელდებოდა ახალი ინვენტარისა და სახელმძღვანელოების შემოზიდვა და სხვ.

ზემოაღნიშნული წარმატებების მიუხედავად, საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა. შემოწმების დღისათვის სარემონტო სამუშაოები არ იყო დაწყებული კალდახვარის სკოლა-ინტერნატში. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო წლის დამთავრებიდან თვენახევარზე მეტი იყო გასული, სასწავლო და სამეურნეო კორპუსები ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, დანაგვიანებული და მოუწყობელი იყო ეზო, არ წარმოებდა მერხების, მაგიდებისა და დაფების შეკეთება.

ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმში (დირექტორი გ. კვაჭაძე) სასწავლო კორპუსის მშენებლობა. 1 აგვისტოსათვის დაუმთავრებელი იყო შენობის გადახურვა და შიდამოსაპირკეთებელი სამუშაოები. გაჭიანურებული მშენებლობის გამო მოუწესრიგებელია ეზო—გარემო. ბათუმის საბავშვო სახლში (დირექტორი ნ. კეკუა), სადაც მიმდინარე რემონტი ტარდებოდა, წესრიგში იყო მოსაყვანი კანალიზაცია, არ იყო შემოზიდული სასწავლო მაგიდები, სკამები, კარადები, სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები.

შემოწმების დღისათვის სარემონტო სამუშაოები დაწყებული არ იყო ტიშისკარის სანატორიულ სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ნ. გრიგოლაშვილი). არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბოდბის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ა. აბუაშვილი), სადაც საძინებელ და სასწავლო კორპუსებში დაზიანებული იყო წყლის საწრეტი მილები, კედლების შიდა მოპირკეთება და კარები. სველ წერტილებში დამტვრეული აღმოჩნდა საპირფარეშო ბაკნები და გამონაჟონი წყლისაგან დაშლილი იყო კედლები. მიმდინარე რემონტს სკოლა-ინტერნატში უხარისხოდ აწარმოებდა სიღნაღის სარემონტო კანტორა. კედლებსა და კარებებს ღებავდნენ მათი წინასწარი შეკეთების გარეშე, სკოლისათვის შეუფერებელ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად მუქ ფერებში, დაწყებული არ იყო სველი წერტილების შეკეთება.

კარდანახის საბავშვო სახლში, ივლისის ბოლოსათვის, მშენებლების მიერ 11,500 მანეთიდან ათვისებული იყო მხოლოდ 2300 (20%) მანეთი. რემონტი უტარდებოდა მხოლოდ კვების ბლოკს.

ცუდად ემზადება ზამთრის სეზონისათვის თითქმის ყველა საბავშვო სახლი და სკოლა-ინტერნატი. აგვისტოს დამდეგისათვის მათ შეზიდული ჰქონდათ გეგმით გათვალისწინებული სათბობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ჩატარების საქმეში მშენებელთა მიერ დაშვებული ხარვეზების უმოკლეს დროში აღმოფხვრისა და ინტერნატულ დაწესებულებებში სწავლა-აღზრდის სანიმუშო პირობების შექმნისათვის;

ბ) ქმედითი ზომები მიიღონ საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მაგარი და რბილი ინვენტარით უზრუნველსაყოფად; კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების სათანადო ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობით აღჭურვისათვის, ბიბლიოთეკების სახელმძღვანელოებით, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით შესავსებად;

გ) ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, საჭირო ღონისძიებანი გაატარონ საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნისა და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

დ) ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად გადამჭრელი ზომები მიიღონ ინტერნატული დაწესებულებების კვების ბლოკების საჭირო მოწყობილობითა და ინვენტარით უზრუნველყოფისა და დადგენილი ასორტიმენტის პროდუქტებით მათი მომარაგებისათვის;

ე) დადგენილი ვადების მიხედვით უზრუნველყონ საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მომარაგება ზამთრისათვის საჭირო სათბობით.

3. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძემ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მომარაგებას მაღალხარისხოვანი მაგარი და რბილი ინვენტარით, თვალსაჩინოებებით, ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობით.

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაშვილმა) ქმედითი ღონისძიებები განახორციელოს საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვისა და აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 23 აგვისტოს სხდომის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება № 653

### 1973 წელს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების პიონერულ ბანაკებში ბავშვთა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მნიშვნელოვანი ნაწილი დროულად შეუდგა ბავშვთა საზაფხულო—გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის მზადებას: წინასწარ დაზუსტდა აგარაკზე გასაყვან აღსაზრდელთა სიები, მიმდინარე რემონტი გაუკეთდა საიგარაკო ადგილებში მდებარე შენობა-ნაგებობებს, სპორტულ ბაზებს; გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩასატარებლად შეირჩა სათანადო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები, პიონერხელმძღვანელები, ექიმები და მედიცინის დები.

შემოწმებით დადგინდა, რომ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ბანაკების დიდ ნაწილში სათანადო პირობები იყო შექმნილი ბავშვთა კულტურული დასვენებისა და გართობისათვის.

ორგანიზებულად მიმდინარეობდა საზაფხულო—გამაჯანსაღებელი მუშაობა ქობულეთისა (დირექტორი გ. კვაჭაძე) და პატარა ცემის (დირექტორი შ. ტაბატაძე) სატყეო სკოლა-სანატორიუმებში, ბათუმის (დირექტორი ნ. კეკუა), მახინჯაურის (დირექტორი ა. ზედანია), ეწრის (გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს ატარებდა ბათუმის საბავშვო სახლის ბაზაზე, დირექტორი ნ. შავლაძე), საბავშვო სახლების პიონერულ ბანაკებში.

ზემოდასახელებულ პიონერულ ბანაკებში პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე დამტკიცებული გამაჯანსაღებელი მუშაობის გეგმების მიხედვით ორგანიზებულად ტარდებოდა აღმზრდელობითი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტმასობრივი მუშაობა სისტემატურად ეწყობოდა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები, კოლექტიური სვლები კინო-თეატრებში, ექსკურსიები წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში. ლაშქრობები ღირსშესანიშნავ ადგილებში, სპორტული ასპარეზობანი, ლიტერატურული დილა-საღამოები, შეხვედრები კომუნისტური შრომის მოწინავეებთან.

სერიოზული ყურადღება ექცეოდა აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურებას; პერიოდულად ტარდებოდა აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება, სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვები აყვანილი იყვნენ განსაკუთრებულ მეთვალყურეობაზე, ბავშვების გაჯანსაღებისათვის სისტემატურად იყენებდნენ მზის, წყლისა და ჰაერის აბაზანებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აღსაზრდელთა პირად ჰიგიენას, დამაკმაყოფილებელი იყო შენობები, ეზო-გარემოს, სამზარეულოს, საკუჭნაოსა და საწყობების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ბანაკების უმრავლესობა შეუფერხებლად მარაგდებოდა ხორცით, თევზეულით, რძის პროდუქტებით, ბოსტნეულით, ხილით. კვება ოთხჯერადი იყო, ხოლო დამზადებული კერძები მრავალფეროვანი და ყუათიანი.

დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო გლდანის № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატის (უფროსი ყ. საბანაშვილი) ბანაკში, რომელიც სოხუმის № 1 სკოლა-ინტერნატის ბაზაზე იქნა ორგანიზებული. იგივე შეიძლება ითქვას სურამის საბავშვო სახლის პიონერული ბანაკის შესახებაც (უფროსი ვ. ალაჯანაშვილი).

მიუხედავად ზემოაღნიშნული წარმატებებისა, შემოწმების პერიოდში სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების პიონერული ბანაკების მუშაობაში გამოვლინებულ იქნა სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი.

რესპუბლიკის განათლების განყოფილებათა გარკვეული ნაწილი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა სკოლა სანატორიუმებში სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვების გაგზავნის საკითხს, 250 ბავშვიდან I ნაკადში ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმში გამოგზავნილ იქნა მხოლოდ 206 მოსწავლე, II ნაკადში 260 ნაცვლად—233. არცერთი საგზური არ აითვისეს I ნაკადში ქ. ჭიათურის, ქ. ზუგდიდის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, ყაზბეგის, ორჯონიკიძის, წითელწყაროს, წულუკიძის, ხოლო II ნაკადში—ქ. გორის, ახალციხის, ბოლნისის, თეთრი წყაროსა და ცაგერის განათლების განყოფილებებმა. გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე გასატარებელ ბავ-

შვთა კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად სატყეო სკოლა-სანატორიუმის დირექცია იძულებული გახდა ბავშვები ადგილობრივი სკოლებიდან აეყვანა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იქმნებოდა უამინდობის დროს პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში, ვინაიდან სკოლას არ გააჩნია სააქტო და სპორტული დარბაზები, რის გამოც შეუძლებელი ხდებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება, რაც არცთუ იშვიათად იწვევდა დღის რეჟიმის დარღვევას.

გლდანის № 2 სპორტული სკოლა-ინტერნატი (უფროსი დ. კინწურაშვილი), რომელიც სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს ატარებდა წყალტუბოს რაიონის ბროწეულას სკოლა-ინტერნატის ბაზაზე, მოუმზადებლად შეხვდა ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. შემოწმების დღისათვის, გეგმით გათვალისწინებული 250 აღსაზრდელის ნაცვლად, ბანაკში იმყოფებოდა 187 მოსწავლე, ამასთან ერთად, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არ სრულდებოდა სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საწვრთნელი მეცადინეობები სპორტის მთელ რიგ სახეობებში. ბანაკის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო მოცურავეთა გუნდის რეგულარულად გადაყვანა წყალტუბოს საცურაო აუზში, სისტემატიურად არ ტარდებოდა ვარჯიშები ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში. ბანაკში არაფერი კეთდებოდა საშემოდგომო გამოცდამიცემული მოსწავლეების დასახმარებლად და სხვ.

ამავე ბანაკს მომსახურებას უწევდა წყალტუბოს სასადილოების მე-2 ტრესტი, მზარეული არაკეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, დროულად ვერ ამზადებდა კერძებს, რის გამოც ბავშვებს ერთი-ორი საათის დაგვიანებით ეძლეოდათ კერძები.

ბოდბის სკოლა-ინტერნატის პიონერულ ბანაკში (უფროსი აბულაშვილი) ისვენებდა რესპუბლიკის სხვადასხვა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების 227 აღსაზრდელი. ბანაკში სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგა სასწავლო-აღმზრდელობითი და კულტმასობრივი მუშაობა. ნაკლებად ტარდებოდა ექსკურსია-ლაშქრობები ბოდბის და სიღნაღის შემოგარენში არსებული ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად, არ ეწყობოდა სპორტული შეჯიბრებები, დისპუტები, ლიტერატურული დილა-საღამოები.

დაბალ დონეზე იდგა აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება, ბანაკის ექიმი ჯანიკაშვილი ბანაკში არ იმყოფებოდა არც 26 ივლისსა და არც 10 აგვისტოს. სამზარეულოსა და სასადილოში უსუფთაობა იყო, მზარეულსა და სამზარეულოში მორიგე აღსაზრდელებს ჭუჭყიანი ხალათები ეცვათ; აღზრდილებს ნაკლებად ეძლეოდათ ბოსტნეული, ხილი. კერძები ხშირად დაკონსერვებული ხორცისაგან მზადდებოდა, არ ხდებოდა კალორიების გამოთვლა. აღსანიშნავია ისიც, რომ ექიმი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა მენიუს შედგენაში.

ქობულეთში დაქირავებულ კერძო ბინაში იმყოფებოდა საჩხერის საბავშვო სახლის 51 აღსაზრდელი (დირექტორი გ. ხვედელიძე). სივიწროვე იყო საძინებელ ოთახებში, არ ჰქონდათ გასართობი და პიონერული ოთახები, ძალზე პრიმიტიულად იყო მოწყობილი პირსაბანი და აბანო. ყოველივე ეს ძალზე აძნელებდა გამაჯანსაღებელ, აღმზრდელობითი და კულტ-მასობრივი ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარების საქმეს.

არ შემუშავებულა სურამის საბავშვო სახლის პიონერთა ბანაკში აღსაზრდელთა საზაფხულო-გამაჯანსაღებელ ღონისძიებების ჩატარების გეგმა, ვინაიდან II კორპუსში სარემონტო სამუშაოების დაგვიანების გამო ბანაკში ვერ ჩამოვიდნენ ჭიათურის საბავშვო სახლის აღსაზრდელები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ღრმად გააანალიზონ ზაფხულში პიონერულ ბანაკებში ბავშვთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შედეგები და ამავდროულად მიიღონ ზომები მომავალში ამ ბრძანებაში აღნიშნულ მსგავს ნაკლოვანებათა თავიდან აცილების მიზნით. საამისოდ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პიონერული ბანაკების სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე მასწავლებელთა კადრებით, სამედიცინო და მომსახურე პერსონალით დაკომპლექტების საქმეს;

ბ) ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად რადიკალურად გარდაქმნან სკოლებში მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების საქმე; პერიოდულად ჩაატარონ მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება და პირველ რიგში უზრუნველყონ გამოვლი-

ნებული სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვთა სატყეო სკოლა-სანატორიუმებსა და სხვა სახის გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩაბმა.

2. გაფრთხილებულ იქნან ქ. ქიათურის, ქ. ზუგდიდის, ქ. გორის, ბოგდანოვკის, კარდაბნის, ყაზბეგის, ორჯონიკიძის, წითელწყაროს, წულუკიძის, ახალციხის, ბოლნისის, თეთრი წყაროსა და ცაგერის განათლების განყოფილებათა გამგეები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მიერ მათთვის გამოყოფილი საგზურებით სატყეო სკოლა-სანატორიუმებში სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვთა მივლინება.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაშვილმა) მიმდინარე წლის ბოლომდე საკარაკო ადგილებში შეარჩიოს შენობა-ნაგებობანი რესპუბლიკური დაქვემდებარების ინტერნატული დაწესებულებებისათვის მომავალ ზაფხულში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩასატარებლად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 23 აგვისტოს დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 4 ოქტომბრის ბრძანება № 654

### საქართველოს რესპუბლიკური პროფსაბჭოს 1973 წლის 27 აპრილის დადგენილების „1973 წელს მუშა-მოსამსახურეთა შვილების საზაფხულო დასვენების ორგანიზაციის" მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ შეისწავლეს საქართველოს რესპუბლიკური პროფსაბჭოს 1973 წლის 27 აპრილის დადგენილების „1973 წელს მუშა-მოსამსახურეთა შვილების საზაფხულო დასვენების ორგანიზაციის" მიმდინარეობა ბორჯომის, ხაშურის, გარდაბნის, თეთრი წყაროს რაიონების, აჭარის ასს რესპუბლიკასა და ქ. თბილისის 80-მდე სკოლამდელ დაწესებულებაში.

შემოწმებით გამოვლინდა, რომ სკოლამდელ დაწესებულებათა გარკვეული ნაწილი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის გატარების საქმეს, დროულად და სათანადოდ მოემზადა ამისათვის და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია მუშაობაში. რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა ზემოაღნიშნული დადგენილების შესასრულებლად. დროულად იქნა მიღებული ზომები ზაფხულის პერიოდისათვის შენობების მოსამზადებლად, სკოლამდელი დაწესებულებების ინვენტარით, საწვავით, პროდუქტებითა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად განათლების სამინისტროს მიერ გატარებული ქმედითი ღონისძიებებისა, მითითებებისა და გაფრთხილებისა, სკოლამდელ დაწესებულებათა საგაზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

რესპუბლიკის ცალკეულმა სამინისტროებმა, უწყებებმა და საწარმოებმა თავიანთი დაქვემდებარების სკოლამდელი დაწესებულებები მოათავსეს სრულიად შეუფერებელ შენობებში, რომლებსაც არ აქვთ ეზოები, სასმელი წყალი, ტრანსპორტისათვის მისასვლელი გზა. ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად არ გამოუყვეს სახსრები, ზოგიერთ საბავშვო ბაღში სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ერთად ჩაიცხეს სასკოლო ასაკის ბავშვები. ნაწილი სხვა უწყების საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღებისა აგარაკებზე გავიდა ბავშვთა მცირე კონტინგენტით (17—25 ბავშვი), მომსახურე პერსონალის სათანადო შტატის გარეშე, რის გამოც დაბალია მათი მუშაობის დონე, ძვირი ჯდება ბავშვების შენახვა. ბორჯომში, ხაშურში, გარდაბნისა და თეთრი წყაროს რაიონებში საზაფხულოდ და ქ. თბილისში სადღეღამო მუშაობაზე გადასულ სკოლამდელ დაწესებულებებში უხეშად ირღვევა სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები; კვების ბლოკში, საძინებელ ოთახებში და სხვა სათავსოებში ჭუჭყია, არის ბუზები, ეზოები არ სუფთავდება, ტუალეტს არ უკეთდება დეზინფექცია, არარეგულარულად გააქვთ ნაგავი, ჭურჭელი ირეცხება ცივ წყალში, არაა დაცული თანამშრომელთა და ბავშვთა პირადი ჰიგიენა, ზოგიერთი თანამშრომელი დაშვებულია სამუშაოზე სამედიცინო შემოწმების გარეშე, ბავშვების ნაწილს არ ყოფნის თეთრეული, პირადი ჰიგიენის საგნები და სხვ.

ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხელოვნური ბოჭკოების ფაბრიკის № 99 (გამგე თ. პატარაია), თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატის № 78 (გამგე თ. პეტროსოვა), სამტრედიის ჩაის ფაბრიკის (გამგე მ. კანდელაკი), ქუთაისის ავტოქარხნის (გამგე ლ. ბურჯანაძე), გორის რაიონის სოფ. ფლავის (გამგე ი. გოგშელიძე), გარდაბნის რაიონის სოფ. დიღმის (გამგე ნ. კუდაშვილი), ქ. თბილისის № 1 (გამგის მოვალეობის შემსრულებელი ა. ნაჭყებია), ა/კ რკინიგზის სოხუმის № 30 (გამგე ნ. არაბიძე), ქ. რუსთავის № 8 (გამგე დ. მასხარაშვილი) საბავშვო ბაღებში, ამიერკავკასიის რკინიგზის წყნეთის (გამგე ჟ. ალადაშვილი), ქ. თბილისის № 66 (გამგე ქ. მ[illegible]ანი), № 20 (გამგე ც. ნარინდოშვილი), № 54 (გამგე ვ. გლუხოვა), ქ. რუსთავის № 5 (გამგე ლ. ცინცაძე) ბაგა-ბაღებში.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გორის ბამბეულის კომბინატის საბავშვო ბაღში (გამგე დ. კაპანაძე). სხვა დარღვევებთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთად, აღმზრდელისა და მზარეულის ხელის ჩამონაბანსა და სამზარეულოს ჭურჭელზე აღმოჩნდა ნაწლავის ჩხირები

განათლების განყოფილებათა გამგეებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების მიერ ადგილი აქვს სკოლამდელი დაწესებულებების აგარაკებზე გაყვანას ბავშვთა კონტინგენტის, ხარჯთაღრიცხვისა და შტატების დამტკიცების გარეშე (აბრეშუმის ფაბრიკის № 18, საავიაციო ქარხნის № 8, რუსთავის № 5 ბაგა-ბაღები (გამგეები თ. ჭაბუკიანი, თ. ქურდაძე, ლ. ცინცაძე).

რუსთავის № 5 ბაგა-ბაღის გამგე ლ. ცინცაძე ვერ ერკვევა გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციფიკაში, არ აწარმოებს ჟურნალში ბავშვთა ყოველდღიური დასწრების აღრიცხვას. არადამაკმაყოფილებელია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, ბავშვები ჭუჭყიანი და ფრჩხილებდაუჭრელია, მომსახურე პერსონალის პირადი ჰიგიენა არადამაკმაყოფილებელია, სამედიცინო პერსონალს არა აქვს აგარაკზე მუშაობის გეგმა. ბაგა-ბაღის გამგე სათანადო კონტროლს ვერ ახორციელებს პროდუქტების ბავშვებამდე სწორად განაწილებაზე

ქ. თბილისის № 6 ბაგა-ბაღში (გამგე ე. მაისურაძე) იატაკი უსუფთაოა, საპირფარეშოებს არ უკეთდება დეზინფექცია, დეზბაზასთან არა აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული, სათავსოებში ბუზებია, ანალოგიური მდგომარეობაა ამავე რაიონის № 40 ბაგა-ბაღში (გამგე მ. ბაიბურთელი).

ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულების ხელმძღვანელი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს თანამშრომელთა კვებაზე აყვანას.

ქ. თბილისის ლენინის № 1 ბაგა-ბაღში (გამგე ვ. ჯელია) ბავშვების ულუფიდან გადანახული ჰქონდათ 10 კერძი, მაშინ როდესაც არცერთი თანამშრომელი არ იყო კვებაზე აყვანილი. ქ. თბილისის ამავე რაიონის № 32 ბაგა-ბაღში (გამგე ჟ. გოგლიძე) 33 თანამშრომლიდან კვებაზე აყვანილი ჰყავდათ მხოლოდ 12 თანამშრომელი.

ყურადღება არ ექცევა ბავშვებისათვის ნათელი, მზიანი, ჰაერიანი ოთახების შერჩევას. ასეთი ბინები, პირველ რიგში, გამოყენებულია თანამშრომლებისათვის.

მიუხედავად განათლების სამინისტროს აკრძალვისა, ადგილი აქვს აგარაკებზე ნაცნობ-ნათესავების გადაყვანის შემთხვევებს. (ქ. თბილისის თამბაქოს ქარხნის № 23, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის № 6 ბაგა-ბაღები (გამგეები ჩ. ჩიხლაძე, თ. ლომიძე).

დარღვევებია სკოლამდელ დაწესებულებათა პროდუქტებით მომარაგების საქმეში. აგარაკებზე ჩასვლის პირველ დღეებში დაგვიანებით მიაწოდეს რძე, პური და სხვ. იყო შემთხვევა, როდესაც ბორჯომის ყველის ქარხანამ საერთოდ არ მოამარაგა ახალდაბა. თბილისის ხილბოსტნეულის № 8 მაღაზიამ, ახალი კომბოსტოს ნაცვლად ბაღებზე გასცა დამჟავებული კომბოსტო.

ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულება იძენს ძვირადღირებულ პროდუქტებს: შაქარი-რაფინადი, შოკოლადის კონფეტი, მურაბა, ჯემი და სხვ., რითაც აძვირებს ბავშვთა კვების ღირებულებას, სისტემატურად არ ანგარიშობენ კალორიას, დღიურად ერთ ბავშვზე დახარჯულ თანხას, ირღვევა დღის რეჟიმი, ადგილი აქვს მენიუ-ფაქტურის არასწორად წარმოების ფაქტებს და სხვ.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1973 წლის 3 აგვისტოს № 14/4 დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთი უპატიოსნო სკოლამდელი აღზრდის მუშაკი მთლიანად არ აძლევს ბავშვებს იმ პროდუქტებს, რომლებიც მენიუ-ფაქტურით გაწერილია სამზარეულოზე. ნაწილი ამ პროდუქტებისა გამოყენებულია თანამშრომელთა უფასო კვებისათვის, ხოლო ნაწილი გადამალული ჰქონდათ მითვისების მიზნით. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქ. თბილისის სამკერვალო ფაბრიკის № 52 ბაგა-ბაღში (გამგე ნ. თოფურიძე), ქ. თბილისის ხელოვნური ბოჭკოს ფაბრიკის № 99 (გამგე თ. პატარაია), ქ. ქუთაისის ავტოქარხნის (გამგე ლ. ლ. ბურჯანაძე), ა/კ რკინიგზის სოხუმის (გამგე ნ. არახამია), გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის (გამგე ნ. ებანოიძე), ქ. თბილისის 26 კომისრის № 37 (გამგე ე. ხუჯიშვილი), ა/კ რკინიგზის წყნეთის № 5 (გამგე ჟ. ალადაშვილი), პირველი მაისის № 67 (გამგე ქ. მდივანი), ქობულეთის რაიონის სოფ. მუხაესტატეს (გამგე შ. მგელაძე), წყალტუბოს რაიონის სოფ. გუმბრის (გამგე თ. შაბაძე) ბაგა-ბაღებში. პროდუქტების ხარჯვასა და აღრიცხვიანობაში სრული უწესრიგობა იყო გარდაბნის რაიონის სოფ. დოღმის საბავშვო ბაღში (გამგე ნ. კუდაშვილი), რომელიც ტაბახმელის მაღაზიიდან ფაქტურის გარეშე ღებულობდა პროდუქტებს.

ბავშვთა კვების საქმეში უხეში დარღვევებია აგრეთვე ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 1 საბავშვო ბაღში, № 2 სანატორიულ და ლენინის რაიონის № 1 ბაგა-ბაღებში.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 1 საბავშვო ბაღში (გამგის მოვალეობის შემსრულებელი ა. ნაჭყებია) შემოწმების დღეს 56 ბავშვზე დაამზადეს 84 ცალი კატლეტი, ბავშვებზე კი თითო-თითო გასცეს. № 2 სანატორიულ ბაგა-ბაღში (გამგე ვ. აბაშიძე) სამხრისა და ვახშმისათვის საწყობიდან გაცემული 2.140 კგ კარაქი ისევ საწყობში დააბრუნეს, ხოლო № 1 ბაგა-ბაღში (გამგე ვ. ჯოლია) სამზარეულოში აღმოჩნდა 5 კგ პამიდორი, რომელიც არ იყო გაწერილი მენიუ ფაქტურით.

რიგ სკოლამდელ დაწესებულებებში ყურადღება არ ექცევა დღის რეჟიმის დაცვას, მუშაობის გეგმაზომიერად და სწორად წარმართვას, თერმომეტრიზაციის ჩატარებას, ბავშვთა დღის ძილის მოწყობას, ლოგინი არ იბერტყება და შენობა არ ნიავდება, არ წარმოებს სველი ტილოთი ბავშვების დაზელვა, მზისა და ჰაერის აბაზანების მიღება. ზოგიერთი თანამშრომელი ძირითადად დაკავებულია თავისი შვილების მოვლით. არ არის დადგენილი აღსაზრდელთა მშობლების მიღების დღეები.

განსაკუთრებული დარღვევები გამოვლინდა სამხრეთ ოსეთის ა/ო კვაისის ტყვია-თუთიის მადაროთა სამმართველოს საბავშვო ბაღში (გამგე თედეევა), აგარაკზე (ქობულეთი) საბავშვო ბაღში ირიცხებოდა 109 ადამიანი, აქედან 65 ბავშვი როგორც სკოლამდელი ასაკის, ასევე სასკოლო ასაკის ბავშვები, 23 დამსვენებელი (ძირითადად აღსაზრდელთა მშობლები). მათ მომსახურებას უწევდა 21 თანამშრომელი. კვების გადასახადს ბავშვებისაგან იღებდნენ 32 მანეთს, უფროსებისაგან—64 მანეთს, რაც არასწორია.

ქ. თბილისში სამოედნო მუშაობაზე გადასული სკოლამდელ დაწესებულებათა ერთი ნაწილი წინასწარ არ ემზადება საზაფხულო-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა მაღალ დონეზე ჩასატარებლად. სათანადო ყურადღებას არ აქცევს გარემოს მოწყობას. არა აქვთ ბუნების, წელიწადის დროისათვის შესაფერისი მხატვრული ლიტერატურის კუთხეები. ეზოები მოუწყობელია და არ პასუხობს მოთხოვნილებებს, არ იყენებენ სათამაშოებს. სამუშაო გეგმის შედგენისა და ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას არ ექცევა ყურადღება.

საზაფხულო-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად,

ვბრძანებ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებმა:

ა) მიიღონ ყველა ზომა, რათა მომავალ წელს საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები ჩაატარონ მაღალ დონეზე. მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიყვანონ აგარაკებზე სკოლამდელი დაწესებულებები, თუ უზრუნველყოფილი იქნებიან ყველა აუცილებელი პირობებით (საცხოვრებელი ფართობი, გამდინარე ცხელი და სასმელი წყალი, კეთილმოწყობილი ეზო, ტრანსპორტისათვის მისასვლელი გზა. სათანადო შტატი, თანხა, ინვენტარი, ხანძარუშიშროების უზრუნველყოფა და სხვ.);

ბ) ის სკოლამდელი დაწესებულებები, რომლებიც არ გავლენ აგარაკებზე, გადაიყვანონ სამოედნო მუშაობაზე ბავშვთა შემცირებული კონტინგენტის შემთხვევაშიც კი;

გ) არ დაუშვან სკოლამდელ დაწესებულებათა აგარაკებზე გაყვანა ბავშვთა და თანამშრომელთა სიების, ხარჯთაღრიცხვის, კადრის შერჩევა—დამტკიცებისა და სანეპიდსადგურის ნებართვის გარეშე;

დ) სისტემატურად შეისწავლონ არა მარტო აგარაკზე გაყვანილი, არამედ ადგილზე, სამოედნო მუშაობაზე გადასული როგორც განათლების, ასევე სხვა უწყების სკოლამდელი დაწესებულებები და გაუწიონ მათ დროული დახმარება;

ე) აღნიშნული ბრძანება განიხილონ განათლების საბჭოების სხდომებზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი გამაჯანსაღებელ მუშაობაში დ ლვევების აღმოსაფხვრელად.

2. სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

ა) აამაღლონ პირადი და თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობა ამ მეტად მნიშვნელოვანი კამპანიის მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში. აკრძალონ დაკისრებული საქმისადმი გულგრილი და ტრაფარეტული დამოკიდებულება

ხელმძღვანელობა და კონტროლი დააწესონ პედაგოგიური პერსონალის მუშაობაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღმზრდელთა ყოველდღიური მუშაობის ხარისხსა და მის აგეგმვა-აღრიცხვას ბავშვთა გაკაჟებისა და დასვენებისათვის მოხერხებულად გამოიყენონ ბუნებრივი ფაქტორები: მზე, ჰაერი, წყალი და სხვ;

ბ) არ დაუშვან თანამშრომელთა კვება ბავშვებისათვის განკუთვნილი პროდუქტებიდან. მკაცრად დაიცვან განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული ინსტრუქცია თანამშრომელთა კვების შესახებ;

გ) სასტიკად აკრძალონ საბავშვო ბაღთან ერთად ნათესავებისა და სხვა პირთა გაყვანა აგარაკებზე;

დ) წინასწარ მოამზადონ გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისათვის, შექმნან ბავშვების ცხოვრებისა და დასვენებისათვის ხელსაყრელი პირობები, ნათელი. მზიანი, ჰაერიანი ბინები, პირველყოვლისა, გამოიყენონ ბავშვებისათვის;

ე) აკრძალონ ძვირადღირებული პროდუქტების შეძენ; არ დაუშვან უფაქტურო პროდუქტების შემოზიდვა; მენიუ შეადგინონ იმ პროდუქტების მიხედვით, რომელიც სახეზეა. დროულად წარუდგინონ განაცხადი სავაჭრო ორგანიზაციებს პროდუქტების გამოყოფის შესახებ; მარაგში იქონიონ 10 დღის პროდუქტი;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კვების ბლოკისა და საფინანსო—სამეურნეო საქმიანობის სწორად წარმართვას. გაზარდონ მომთხოვნელობა სამეურნეო მუშაკებისადმი, გააძლიერონ მათ მუშაობაზე კონტროლი და რაიმე არაკეთილსინდისიერი ფაქტის გამოვლენისთანავე მათ მიმართ მიიღონ მკაცრი ზომები.

ზ) სამედიცინო პერსონალთან ერთად მტკიცე კონტროლი დააწესონ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების, ბავშვთა და თანამშრომელთა პირადი ჰიგიენის დაცვისა და კვების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მოუთმენელი ანტისანიტარული მდგომარეობის დაშვებისათვის და მენიუში გათვალისწინებული პროდუქტების ბავშვებზე გაუცემლობისათვის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1973 წლის 3 აგვისტოს № 14/4 დადგენილებით გადაყენებულია დაკავებული თანამდებობიდან ა/კ რკინიგზის წყნეთის № 5 ბაგა-ბაღის გამგე ჟ. ალადაშვილი და ქუთაისის ავტოქარხნის საბავშვო ბაღის გამგე ლ. ბურჯანაძე.

გამოეცხადათ სასტიკი საყვედური გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღის გამგეს ნ. ებანოიძეს და ა/კ რკინიგზის სოხუმის № 30 საბავშვო ბაღის გამგეს ნ. არახამიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოეცხადათ საყვედური თბილისის პირველი მაისის რაიონის № 67 ბაგა-ბაღის გამგეს ქ. მდივანს, 26 კომისრის რაიონის № 37 ბაგა-ბაღი გამგეს ე. ხუციშვილს, ქობულეთის რაიონის სოფ. მეხავისტატეს საბავშვო ბაღის გამგეს შ. მგელაძეს, წყალტუბოს რაიონის სოფ. გუმბრინის ბაგა-ბაღის გამგეს თ. შაბაძეს, გარდაბნის რაიონის სოფ. დიდმის საბავშვო ბაღის გამგეს ნ. კუდაშვილს გორის ბამბეულის კომბინატის საბავშვო ბაღის გამგეს დ. კაპანაძეს.

დაევალოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქ. თბილისის სამკერვალო ფაბრიკის № 52 საბავშვო ბაღის გამგის ნ. თოფურიძისა და თბილისის ხელოვნური ბოჭკოს ფაბრიკის № 99 საბავშვო ბაღის გამგის თ. პატარაიას მიმართ სათანადო ზომების გატარება.

4. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 2 სანატორიული ბაგა-ბაღის გამგე ე. აბაშიძე და ლენინის რაიონის № 1 ბაგა-ბაღის გამგე ვ. ჯელია ბავშვთა კვების საქმეში დაშვებული სერიოზული დარღვევებისათვის ემსახურებენ დაკავებული თანამდებობიდან მოხსნას. ვითვალისწინებ, რომ მათ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1973 წლის 3 აგვისტოს № 14/4 დადგენილებით გამოცხადებული აქვთ საყვედური, სასტიკად ვაფრთხილებ, რომ მომავალში, მსგავსი შემთხვევის დაშვებისათვის, მოხსნილ იქნებიან სამუშაოდან.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ქ. თბილისის № 1 საბავშვო ბაღის გამგის მოვალეობის შემსრულებელი ა. ნაჭყებია გადაყენებულია დაკავებული თანამდებობიდან და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის მიერ გამოცხადებული აქვს საყვედური.

6. ანტისანიტარიის შექმნის, ბავშვთა დასწრების არასისტემატური აღრიცხვისა და მენიუთი გათვალისწინებული პროდუქტების ბავშვებზე გაუცემლობისათვის ქ. რუსთავის № 5 ბაგა-ბაღის გამგეს ლ. ცინცაძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

7. ანტისანიტარიის დაშვებისათვის ქ. თბილისის № 6 და № 40 ბაგა-ბაღის გამგეებს ვ. მაისურაძეს და მ. ბიბერთელს გამოეცხადოთ საყვედური.

8. ქ. რუსთავის განათლების განყოფილების გამგემ ანტისანიტარიის დაშვებისათვის № 8 საბავშვო ბაღის გამგეს დ. ა. მახარაშვილს დაადოს სათანადო სასჯელი.

9. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი):

ა) მ/წლის 15 დეკემბრისათვის მოამზადოს თათბირი სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორ-მეთოდისტებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებისათვის თემაზე: „სკოლამდელ დაწესებულებათა დისლოკაციის, ბავშვთა კვების, კონტინგენტის შესრულებისა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ";

ბ) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 20 სექტემბრის დადგენილება,

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 9 ოქტომბრის ბრძანება № 668

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1973 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და ინსტიტუტის სოხუმის, ბათუმის, ცხინვალისა და ქუთაისის ფილიალებმა (თ. ზახაშვილი, რ. აგრბა, ნ. ქიქავა, შ. ლოხოვი ი. ბალანჩივაძე) სათანადო მუშაობა ჩაატარეს 1973 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა გეგმების შესრულებისათვის. გეგმით გათვალისწინებული 5.580 მასწავლებლის ნაცვლად გადამზადდა 5.695 მასწავლებელი. ძირითადად გადამზადების კურსები გაიარეს ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასული საგნების მასწავლებლებმა.

საზაფხულო ღონისძიებებში კვლავ დიდი ადგილი დაიჭირა დაწყებითი კლასების, ისტორიის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ფიზიკური აღზრდისა და შრომითი სწავლების მასწავლებელთა დახელოვნების კურსებმა. გეგმაშეწონილად გაიარეს გადამზადების კურსები სამხედრო ხელმძღვანელებმა, საღამოს (ცვლიანი) სკოლების ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლების ჰუმანიტარული საგნების, სიმღერა-მუსიკის, ხატვისა და ხაზვის მასწავლებლებმა სასკოლო ქორეოგრაფიული წრეების ხელმძღვანელებმა, დამხმარე სკოლების აღმზრდელებმა და სხვა.

სათანადო ყურადღება მიექცა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების იდეურ-პოლიტიკურსა და მეცნიერულ-მეთოდურ დონეს, საკურსო პროგრამების გამართვაში ენერგიულად მონაწილეობდნენ ინსტიტუტის მეთოდურ კაბინეტებთან ერთად რესპუბლიკის სკოლების მოწინავე პედაგოგები და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები.

ინსტიტუტისა და ფილიალების მეთოდური კაბინეტები დროულად იყვნენ უზრუნველყოფილი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით, რამაც დიდად შეუწყო ხელი კურსების მაღალკვალიფიცირებული ლექტორებით დაკომპლექტების საქმეს.

საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა გეგმების შესრულებისათვის კარგად იმუშავეს აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ, ქ. სოხუმის, ქ. ზუგდიდის, აბაშის, სამტრედიის, ტყიბულის, ბორჯომის გარდაბნის, მცხეთის, გურჯაანის და სხვ. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა.

იმის გამო, რომ რიგი რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებები მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ მასწავლებელთა გადამზადებას, კურსები არ შედგა, ხოლო ზოგიერთი ჯგუფი მუშაობდა მცირე დატვირთვით. ასე მაგალითად, X კლასების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ორი ჯგუფი არ შედგა ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალში იმის გამო, რომ კონტინგენტი დააკლეს ამბროლაურის, გეგეჭკორის, მახარაძის და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა. რაც შეეხება ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილებას, რუსული ენისა და ლიტერატურის არც ერთი მასწავლებელი არ მიუვლინებია კურსებზე. ამავე საგნის მასწავლებელთა ერთი ჯგუფი არ შედგა იმის გამო, რომ ასპინძის, ახალქალაქის, ბოლნისის, გორის, დმანისის, მარნეულის მცხეთისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა ვერ მიავლინეს ვერც ერთი მასწავლებელი. თელავში მოწყობილ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კურსებზე არც ერთი მასწავლებელი არ მოუვლენია ყაზბეგის რაიონს, კონტინგენტის გეგმები ვერ შეასრულეს დუშეთის, თეთრიწყაროს, წითელწყაროსა და თიანეთის რაიონებმა.

ასევე ადამზადების გეგმები ვერ შეასრულეს ქ. ფოთის, გულრიფშის, საჩხერის, ვანის, მესტიის, ლაგოდეხის, სიღნაღისა და სხვა რაიონების ქალაქების განათლების განყოფილებებმა.

ზოგჯერ განათლების ადგილობრივი ორგანოები მკაცრად არ სთხოვენ მეთოდურ-პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებას საღამოს (ცვლიანი) სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მასწავლებლებს. ყოველთვის სათანადო ყურადღება არ ექცევა სხვადასხვა მიზეზით კურსებგაცდენილ მასწავლებელთა გადამზადებას ადგილებზე.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს კურსებზე შეუფერხებელი კონტინგენტის მოვლინებას, მივლინებას, დაგვიანებით და სხვა.

მასწავლებელთა და სახალხო განათლების დარგის სხვა მუშაკთა გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების შემდგომი სრულყოფისა და საკურსო ღონისძიებათა 1973 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დახელოვნების ინსტიტუტს (დირექტორი ამხ. თ. ზახაშვილი):

ა) მიიღოს საჭირო ზომები საკურსო ღონისძიებათა 1973 წლის გეგმის დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის, გადაჭრით გააუმჯობესოს მუშაობა კურსებგავლილ მასწავლებლებთან და რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა მეთოდურ კაბინეტებთან;

ბ) გააძლიეროს კონტროლისა და დახმარების ღონისძიებანი ინსტიტუტის ფილიალების მიმართ საკურსო ღონისძიებათა მაღალ იდეურ-პოლიტიკურსა და მეთოდურ-პედაგოგიურ დონეზე ჩატარებისათვის;

გ) გაატაროს სათანადო ღონისძიებანი საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა და სახალხო განათლების დარგის სხვა მუშაკთა გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების კურსების 1974 წლის გეგმის დროულად და ხარისხიანად შედგენისათვის.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უზრუნველყონ მასწავლებელთა და სახალხო განათლების დარგის სხვა მუშაკთა გადამზადების 1973 წლის გეგმის შეუფერხებლად შესრულება, შეუქმნან კურსებზე მოსავლინებელ მასწავლებლებს ყველა საჭირო პირობა, ამავე დროს მიიღონ სათანადო ზომები იმ მასწავლებელთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ გადამზადების კურსების გავლას, არ ზრუნავენ საკუთარი მეთოდურ-პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსებზე საღამოს (ცვლიანი), სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მასწავლებელთა მოვლინების საქმე. სათანადო ორგანიზაცია გაუკეთონ ადგილებზე ამ ტიპის სკოლების მასწავლებლებისადმი მეთოდურ დახმარებას;

გ) დაავალონ რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა მეთოდურ კაბინეტებს, სრული წესრიგი დაამყარონ კურსებგავლილ და კურსებზე მოსავლინებელ მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა აღრიცხვის საქმეში;

დ) აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე.

3. მკაცრად იქნეს გაფრთხილებული ლენტეხის, ყაზბეგის, თეთრი წყაროს, დუშეთის, ასპინძის, თიანეთის, დმანისის, მცხეთის და სხვა რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეები, რათა შემდგომში არ დაუშვან საკურსო ღონისძიებათა გეგმების შეუსრულებლობა.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 4 ოქტომბრის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 12 ოქტომბრის ბრძანება № 684

### ქ. თბილისის ლენინის რაიონის № 46 ბაგა-ბაღის ბავშვთა გეგმიური კონტინგენტის შესრულებასა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულების ხელმძღვანელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება ბავშვთა დაწესებული კონტინგენტის შესრულების საქმეს, ხელოვნურად ზრდის ბავშვთა სიებს, ფაქტიურად კი ბავშვთა დასწრება მინიმალურია.

მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისის ლენინის რაიონის № 45 ბაგა-ბაღში წლების განმავლობაში არ სრულდება ბავშვთა კონტინგენტის გეგმა, ბაღის გამგე ნ. კალანდია არათუ ღებულობს ქმედით ზომებს გეგმის შესასრულებლად, არამედ ხელოვნურად იწვევს მშობელთა უკმაყოფილებას ბაგა-ბაღში არ რიცხავს ბავშვებს. დასახელებულ ბაგა-ბაღში 1972 წელს, ნაცვლად გეგმიური 300 ბავშვისა, სიით ირიცხებოდა 348, ფაქტიურად ესწრებოდა მხოლოდ 243, 1973 წლის 19—20 სექტემბერს სიით ირიცხებოდა 163 ბავშვი, ფაქტიურად ესწრებოდა 247.

კვლავ დარღვევებია ამავე ბაგა-ბაღის ბაგის ჯგუფებში, ბავშვებს არ აძინებენ რეჟიმის მიხედვით, დარღვეულია სან-ჰიგიენური ნორმები; სათამაშო მანეჟს ძირი არ აქვს და პირდაპირ იატაკზეა. ბაგა-ბაღს არ აქვს ბავშვების ლოგინისათვის ინდივიდუალური ტომრები.

ეზო არაა დაყოფილი ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ეზოში მოთავსებული პატარა სახლები გამოუყენებელი და ჩალურსმულია, რის გამო ბავშვები ვერ თამაშობენ. სახლების შიგნით კი მოუთმენელი ანტისანიტარული მდგომარეობაა.

დაწესებულ დროზე ადრე წარმოებს ბავშვების გასტუმრება ოჯახში, რის გამოც ირღვევა შრომის დისციპლინა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებმა:

ა) მიიღონ ყველა ზომა სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა გეგმიური კონტინგენტის აუცილებლად შესასრულებლად და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად;

ბ) თვალყური ადევნონ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს სხვა უწყების სკოლამდელ დაწესებულებებში 20%-ის რაოდენობით იმ ბავშვების ჩარიცხვას, რომელთა მშობლები არ მუშაობენ აღნიშნულ წარმოება-დაწესებულებებში;

გ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელების (ყველა უწყების) გაფართოებულ სხდომაზე და მათ მიმართ, ვინც ხელოვნურად აბრკოლებს ბავშვთა გეგმიური კონტინგენტის შესრულებას, მიიღონ სათანადო ზომები.

პირადი პასუხისმგებლობა დაეკისროთ რაიონებისა და ქალაქების სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორ-მეთოდისტებს სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა გეგმიური კონტინგენტის შესრულების, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის, ბავშვთა დღის ძილის ორგანიზაციისა და ზემდგომი ორგანოების დადგენილება-განკარგულებათა ცხოვრებაში გატარების საქმეში.

3. სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

ა) აღრიცხონ თავიანთ მიკრორაიონში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობა, ფართოდ გაშალონ პროპაგანდა მოსახლეობაში სკოლამდელ დაწესებულებათა მნიშვნელობისა და როლის შესახებ;

წესრიგში მოიყვანონ მშრომელთა განცხადებები ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩარიცხვის შესახებ და დროულად დააკმაყოფილონ მათი თხოვნა;

ბ) აღკვეთონ ბავშვთა ფიქტიური და ხელოვნურად გაზრდილი სიების წარმოება;

გ) ბავშვები, რომლებიც 10 დღის განმავლობაში უმიზეზოდ არ გამოცხადდებიან საბავშვო ბაღში, ამორიცხონ სიიდან და მათ მაგივრად ჩარიცხონ აღრიცხვაზე მყოფი ის ბავშვებიც კი, რომელთა დედები არ მუშაობენ.

4. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძემ) შეისწავლოს მოსახლეობის მოთხოვნილება სკოლამდელ დაწესებულებებზე და, საჭიროების შემთხვევაში, არსებულ საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებს დაუმატოს ჯგუფები ან საბავშვო ბაღები გადააკეთოს ბაგა-ბაღებად.

5. ქ. თბილისის განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორმა ამხ. ნ. ჯანჯღავამ შეისწავლოს სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა გეგმიური კონტინგენტის შესრულების, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის, ბავშვთა დღის ძილის ორგანიზაციის მდგომარეობა და შედეგებზე მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას მ/წლის ნოემბრის თვეში.

6. ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ტატიშვილმა) დაშვებული დარღვევებისათვის ბაგა-ბაღის მეთოდისტისა და სამედიცინო პერსონალის მიმართ გაატაროს საჭირო ზომები.

7. ზემდგომი ორგანოების დავალებათა შეუსრულებლობის, მოუთმენელი ანტისანიტარული მდგომარეობის, ბავშვთა სიების ხელოვნურად გაზრდისა და დაწესებული გეგმიური კონტინგენტის შეუსრულებლობისათვის ქ. თბილისის ლენინის რაიონის № 46 ბაგა-ბაღის გამგეს ნ. კალანდიას გამოეცხადოს სასტიკი საყვედური; გაფრთხილებულ იქნეს იგი, რომ მსგავსი ნაკლოვანებების დაშვებისათვის მის მიმართ მიღებულ იქნება მკაცრი ზომები.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 4 ოქტომბრის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 6 სექტემბრის ბრძანება № 692-ა

### ქ. თბილისის მე-5 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის I საკავშირო ტურისტული შეკრება-შეჯიბრების მონაწილის ლ. ბ. როსნაძის ქ. კიევში მდინარე დნეპრში დახრჩობის მიზეზების შესახებ

აღინიშნოს, რომ 1973 წლის 16—31 ივლისს უკრაინის სსრ ლვოვის ოლქის ქ. სკოლეში ჩატარდა ნორჩ ტურისტთა 1 საკავშირო შეკრება-შეჯიბრება. შეჯიბრებაში რესპუბლიკიდან მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისის მე-5 საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. ქ. კაშია) უფროსი ასაკის მოსწავლეთა ჯგუფმა, რომლის ხელმძღვანელად შერჩეული იყო ამავე სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ნელი გიორგის ასული ბუაძე, ხოლო მწვრთნელად ფიზკულტურის მასწავლებელი შალვა ილიას ძე ავაჯანიშვილი.

ჯგუფის შერჩევაში, წვრთნაში, გამგზავრებასა და დასკვნით შეკრება-შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დირექტორმა მ. ა. ერისთავმა და ამავე სადგურის პედაგოგმა საათობრივი ანაზღაურებით, ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებელმა კონსტანტინე იაკობის ძე ასტახიშვილმა.

მიუხედავად სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო—ტურისტული სადგურის 1973 წლის 25 აპრილის № 0/345 მომართვისა, რომლის საფუძველზე ჯგუფის ხელმძღვანელებად და გამყოლებად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ სკოლის ძირითადი მუშაკები, ქ. სკოლეში გაემგზავრა სადგურის მუშაკი კ. ასტახიშვილი, რაც არაფრით არ იყო გამართლებული.

1-ელ აგვისტოს, შეკრება-შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, ჯგუფი ლვოვიდან თბილისში უნდა გამომგზავრებულიყო, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეები და მასწავლებლები შეთანხმდნენ ერთი დღით დარჩენილიყვნენ კიევში, ქალაქის დასათვალიერებლად.

2 აგვისტოს ქალაქის დასათვალიერებლად გასული მოსწავლე ვაჟები მიატოვეს ხელმძღვანელებმა ნ. ბუაძემ და შ. ავსაჯანიშვილმა. ეს უკანასკნელი თავის ვაჟიშვილით წავიდა მაღაზიებში ხალათების საყიდლად. უმეთვალყუროდ მიტოვებული მოსწავლეები წავიდნენ საბანაოდ მდინარე დნეპრზე აკრძალულ ადგილას, სადაც მორევში მოქცეული დაიხრჩო X კლასელი ლევან ბიძინას ძე რონსნაძე.

ქ თბილისის მე-5 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ლ. ბ. რონსნაძე მდინარეში დაიხრჩო ამავე სკოლის მასწავლებლების, ჯგუფის ხელმძღვანელის ნ. ბუაძისა და მწვრთნელის შ. ავსაჯანიშვილის თავის მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო და უსულგულო, ბავშვთა ტურისტული—საექსკურსიო სადგურის მუშაკების მ. ერისთავისა და კ, ასტახიშვილის საქმისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილებას (ამხ. ქ. ჭანიშვილს) განიხილოს და არსებული წესის დაცვით გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან ქ. თბილისის მე-5 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი, ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელი ნელი გეორგის ასული ბუაძე და ამავე სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, ჯგუფის მწვრთნელი შალვა ილიას ძე ავსაჯანიშვილი მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლო და უსულგულო დამოკიდებულებისათვის, რის შედეგად ა/წლის 2 აგვისტოს ქ. კიევში მდინარე დნეპრში დაიხრჩო მე-5 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ლ. ბ. რონსნაძე.

2. მასწავლებლების ნ. ე. ბუაძისა და შ. ი. ავსაჯანიშვილის საქმე გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალური ტურისტული სადგურის მოწვეულ პედაგოგს კონსტანტინე იაკობის ძე ასტახიშვილს საქმისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისათვის აეკრძალოს განათლების სისტემის სკოლისგარეშე დაწესებულებებში ტურისტული მუშაობა და მოსწავლეთა წვრთნა.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო—ტურისტური სადგურის დირექტორის მზია ალექსანდრეს ასულ ერისთავის საკითხი განხილულ იქნეს განათლების სამინისტროს კოლეგიაზე, მისი გამოჯანმრთელებისა და სამუშაოზე გამოცხადების შემდეგ.

5 ქ. თბილისის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორ ვ. კ. კაშიას აღნიშნული ღონისძიების არაკვალიფიციური ხელმძღვანელების შერჩევისათვის გამოეცხადოს საყვედური.

6. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საღამოს (ცვლის], სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, სკოლისგარეშე და კლასგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელებს, ზუსტად დაიცვან ექსკურსიების, ლაშქრობების, შეკრებების ჩატარების შესახებ არსებული ინსტრუქციები და მითითებები; ამ ღონისძიებების ხელმძღვანელებად შეარჩიონ საუკეთესო მასწავლებლები, აღმზრდელები და განათლების დარგის მუშაკები, გაზარდონ მათი პასუხისმგებლობა ბავშვთა მოვლა-პატრონობისა და სიცოცხლის შენარჩუნების საქმეში.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 13 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება № 708

## მშობლიურ ლიტერატურაში მოსწავლეთა მეექვსე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეშვიდე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1972—1973 სასწავლო წელს მოსწავლეთა მეექვსე რესპუბლიკური ოლიმპიადა მშობლიურ ლიტერატურაში ორგანიზებულად ჩატარდა. მასში მონაწილეობდა ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების VIII—X(XI) კლასების 999 მოსწავლე, რომელთაგან გაიმარჯვა 328-მ.

ოლიმპიადამ გამოავლინა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც დაინტერესებულია ლიტერატურით, აქვს წერითი მეტყველების მაღალი კულტურა.

ოლიმპიადაში წარმატებას მიაღწიეს თბილისის 52-ე, 61-ე, 126-ე, 136-ე, ქუთაისის 31-ე, ახალციხის 1-მა, დუშეთის 1-მა, მახარაძის 1-მა, სოხუმის 1-მა, თელავის მე-4, საგარეჯოს 1-მა, საჩხერის 1-მა, ახალქალაქის საშუალო სკოლებმა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმე კარგ დ არის დაყენებული.

ოლიმპიადის მონაწილეებმა შეასრულეს ყველა თემა, მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა კი პროგრამისგარეშე ლიტერატურის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნაც გამოავლინა. ბევრმა, თავისუფალი თემის დამუშავებისას, ზოგიერთი ზნეობრივი საკითხის თავისებური გაშუქება სცადა, თავი გამოიჩინა, როგორც ხელოვნების სხვადასხვა დარგის კარგმა მცოდნემ, მაღალი ლიტერატურული გემოვნების მქონე ახალგაზრდამ.

შემოქმედებითი თვითმყოფობით, თემისა და შინაარსის სრული შესაბამისობით გამოირჩევა მარინე იობიძის (ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლა), თამარ მეიფარიანის (თბილისის 126-ე საშ. სკოლა), ნაზი მენაბდის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-

ინტერნატი), მარინე ბალანაშვილის (თბილისის 134-ე საშ. სკოლა), ნ. ზარანდიას (რუსთავის მე-9 საშუალო სკოლა), ნ. პოპრუჟნის (სოხუმი მე-4 საშ. სკოლა). ლ. კოსოვსკაის (სოხუმის მე-10 საშ. სკოლა), ზ. სალპეიტერის (რუსთავის 1-ლი საშ სკოლა), თ. საჯაიას (გუდაუთის მე-2 საშ. სკოლა), ე. თურქიაას (სოხუმის მე-14 საშ. სკოლა), უ. განდილიანის (ახალქალაქის რაიონის კორხის საშ. სკოლა), ვ. გევორქიანის (თბილისის 101-ე საშ. სკოლა) და სხვათა წერითი ნამუშევრები.

მაგრამ, ამასთან ერთად, მეექვსე რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ ისიც გვიჩვენა, რომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

მოსწავლეთა ერთი ნაწილის მიერ შესრულებული წერითი ნამუშევრები თემას არ პასუხობს; მოსწავლეები არ იცნობენ ლიტერატურულ ტექსტს, უშვებენ ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ, სტილისტურ, ფაქტობრივ და აზრობრივ შეცდომებს.

განსაკუთრებით ცუდად გამოვიდნენ თბილისის 87-ე, ცხაკაიას მე-7, ვანის რაიონის ზედავანის, გალის მე-2, სიმტრედიის რაიონის ბაშის, თერჯოლის რაიონის თუზის, ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს, წულუკიძის რაიონის მათხოჯის, თეთრი წყაროს ქართული საშუალო სკოლები, რომელთაგან წარმოდგენილმა ცალკეულმა მოსწავლეებმა „არადამაკმაყოფილებელი" შეფასებაც კი დაიმსახურეს. აი, ზოგიერთი მათგანი:

თერჯოლის რაიონის თუზის საშუალო სკოლის მეათეკლასელი მ. ჩ.-ას თხზულება—„პატრიოტული მოტივი ქართველ „სამოციანელთა" შემოქმედებაში" მეტყველებს მოსწავლის ძეტისმეტ უწიგნურობაზე. იგი წერს: „საბჭოთა ეპოქაში ბედნიერი მომავალი მართლაც მშრომელ ხალხთა მასებისაა ჩვენს ქვეყანაში"... „აკაკი ნათლად ხედავს, თუ როგორ იმსხვრევა კაპიტალიზმი და იმარჯვებს სოციალური წყობა ჩვენს ქვეყანაში".

აზრის საოცარი სიღარიბით ხასიათდება წულუკიძის რაიონის მათხოჯის საშუალო სკოლის მოსწ. ზ. კ.-ის თხზულება.

აბაშის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე დ. ჩ. თხზულებაში „გ. ტაბიძის ლირიკა" მიმოიხილავს იოსებ გრიშაშვილის საყოველთაოდ ც ობილ ლექსებს: „ოქროს სიტყვა", „გამარჯვების გაზაფხული", „ლენინის მოედანი", რომელთაც უყოყმანოდ მიაწერს გალაკტიონის შემოქმედებას. გორის მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. მ. საოლიმპიადო ნამუშევარში „საკოლმეურნეო მშენებლობის თემა ლ. ქიაჩელის შემოქმედებაში“ წერს:

„საკოლმეურნეო ცხოვრების ამაღორძინებელი ძალაა აღწერილი ქიაჩელის შესანიშნავ რომანში „ტარიელ გოლუა“(!). რომანის მთავარი მოქმედი პირნი: ტარიელი, მისი ვაჟიშვილი ლევანი და სოფლის სხვა მოწინავენი ძომხოე არიან, იმუშაონ კოლექტიურად, სულ ყველა დააოწმუნონ საკოლმეურნეო მშენებლობის სიკეთეში... გაიოზი თავისი ცბიერებით ჩაეწერება კოლმეურნეთა სიაში და მუხანათურად მოკლავს საკოლმეურნეო მშენებლობისათვის თავდადებულ ჭაბუკ—ლევანს“... და ა. შ.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები იმის მაჩვენებელია, რომ ზოგიერთ სკოლაში ძალზე დაბალ დონეზეა დაყენებული მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება, ხოლო ზონალური საოლიმპიადო კომიტეტები კი უპასუხისმგებლოდ, დანაშაულებრივი გულგრილობით ეკიდებიან ამ საინტერესო და საჭირო ღონისძიების ჩატარებას. სავანაიოად ვერ ავხსნით ოლიმპიადის დასკვნით ტურზე იმ მოსწავლეთა წარმოდგენას, რომელთაც „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასება დაიმსახურეს.

ვბრძანებ:

მოსწავლეთა მე-6 რესპუბლიკურ ლიტერატურულ ოლიმპიადაში გამარჯვებისათვის დაჯილდოვდნენ პირველი ხარისხის სიგელით:

VIII კლასის 6 მოსწავლე;
IX კლასის 17 მოსწავლე;
X კლასის 29 მოსწავლე.

მეორე ხარისხის სიგელით:

VIII კლასის 82 მოსწავლე;
IX კლასის 105 მოსწავლე;
X კლასის 161 მოსწავლე;

მშობლიური ლიტერატურის მეშვიდე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით.

1. რ. კანდელაკი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე)

2. ს. დვალი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე

3. ი. წოწონავა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი

4. ე. ქურციკიძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

5. ს. შახსუვარიანი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

6. ი. პეტრენკო—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

7. ვ. გასპარიშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტი

8. ო. დოლაბერიძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის ს/ს ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების სექტორის გამგე

9. ა. მჭედლიძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

10. ა. კვასხვაძე—თბილისის პედკაბინეტის მეთოდისტი

11, ლ. პაიჭაძე—ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წიგნზე მუშაობის განყოფილების გამგე

12. ი. ბურშტეინი—თბილისის პედკაბინეტის მეთოდისტი

13. ე. სურგულაძე—თბილისის 123-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი

14. ს. მურადოვი—გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

15. ნ. ვოსკანიანი—თბილისის 93-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი

IV. მშობლიური ლიტერატურის რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

V, ზონალური ტური ჩატარდეს 1974 წლის 27 იანვარს, რესპუბლიკური—7 აპრილს.

VI. დაევალოს რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს, სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის რაიონებსა და ქალაქებს.

VII. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დროულად გააცნონ მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლებს რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება;

ბ) მშობლიური ლიტერატურის ოლიმპიადის ჩატარებისათვის ზონებში შექმნან საორგანიზაციო კომიტეტები;

VIII. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) და ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ (ამხ. ზ. ლომიძემ) 1974 წელს გამოყონ საჭირო თანხა ოლიმპიადის ჩატარებისათვის.

IX. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძემ) ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის 500 კგ. საწერი ქაღალდი

X. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის რვაწლიანი და საშუალო სკოლების პედსაბჭოს სხდომებზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 4 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიის 1973
წლის 4 ოქტომბრის
დადგენილებით

# დებულება

## მოსწავლეთა ლიტერატურული ოლიმპიადისა

1. ოლიმპიადა მიზნად ისახავს, გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მშობლიურ ლიტერატურაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, ხელი შეუწყოს სკოლაში მშობლიური ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებას.

2. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლია რვაწლიანი და საშუალო სკოლების VIII—X (XI) კლასების ყველა მოსწავლეს.

3. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს განათლების სამინისტრო;

ბ) ზონალური კომიტეტები—ზონის ცენტრად გამოყოფილ ქალაქებსა და რაიონის განათლების განყოფილებებთან. ზონალური კომიტეტების შემადგენლობაში შევლენ სათანადო სპეციალისტები ცენტრიდან და აგრეთვე ზონაში შემავალი რაიონებიდან.

ზონალური კომიტეტების შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

4. ლიტერატურული ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად: პირველი—ზონალური, მეორე—რესპუბლიკური. ორივე ტური დასწრებულია, პირველი—ზონალური ტური ტარდება ზონის ცენტრში, მეორე—რესპუბლიკური—თბილისში. ზონალურ ტურს ატარებს ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი, რესპუბლიკურს კი—რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 28 ზონად:

1. თბილისი—ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის;

2. სოხუმი—აფხაზეთის ასსრ მოსწავლეთათვის;

3. ბათუმი—აჭარის ასსრ მოსწავლეთათვის;

4. რუსთავი—ქ. რუსთავის, გარდაბნის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

5. ცხინვალი—სამხრეთ ოსეთის ა/ო სკოლების მოსწავლეთათვის;

6. ქუთაისი—ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

7. სამტრედია—სამტრედიის, ვანის, წულუკიძის, რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

8. ზესტაფონი—ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

9. ცხაკაია—ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

10. ზუგდიდი—ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

11. ჭიათურა—ჭიათურის, საჩხერის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

12. გორი—ქ. გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

13. მცხეთა—მცხეთის, კასპის, დუშეთის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის:

14. ახალციხე—ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

15. ახალქალაქი—ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

16. ბოლნისი—ბოლნისის, დმანისის, მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის

17. თეთრი წყარო—თეთრი წყაროს, წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

18. თელავი—თელავის, ახმეტის, ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის

19. გურჯაანი—გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. მახარაძე—მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

21. ამბროლაური—ამბროლაურის, ონის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

22. მესტია—მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

23. ცაგერი—ცაგერის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

24. ლენტეხი—ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

25. ყაზბეგი—ყაზბეგის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

26. თიანეთი—თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

27 ფოთი—ფოთის სკოლების მოსწავლეთათვის;

28. თბილისი—რკინიგზის სკოლების მოსწავლეთათვის.

6. პირველი—ზონალური ტური შედგება 1974 წლის 27 იანვარს, მეორე რესპუბლიკური—7 აპრილს. ზონალური ტურის კანდიდატებს, განათლების განყოფილებებთან შეთანხმებით, შეარჩევენ თვით სკოლების მოსწავლეთაგან, რომელთაც აქვთ სათანადო მონაცემები და სურვილი, მონაწილეობა მიიღონ ლიტერატურულ ოლიმპიადაში.

ამ მოსწავლეთა სიები, შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ, ეგზავნება ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს.

7, ორივე ტურის თემებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, ზონალური ტურისათვის დალუქულ პაკეტებს საორგანიზაციო კომიტეტები მიიღებენ ფოსტით ან სპეციალური პირის საშუალებით.

8. ზონალური ტურის დღეს დალუქულ პაკეტს, ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა თანდასწრებით, ხსნის ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

**შენიშვნა:** ოლიმპიადაზე წერითი სამუშაო სრულდება წინასწარ მომზადებულ და შტამპდასმულ ქაღალდზე, რომელსაც ამზადებენ შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები.

9. ოლიმპიადაზე მონაწილე მოსწავლეებისათვის თემის დასაწერად განსაზღვრულია 5 ასტრონომიური საათი.

10. ზონალური ტურის მონაწილე მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს ასწორებენ ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები და გამარჯვებულთა შეფასების ნიშნებსა და ნაწერებს უგზავნიან რესპუბლიკურ კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ზონალურ ტურში გამარჯვებულ მოსწავლეებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გაიწვევს თბილისში, დასკვნით ტურში მონ წილეობის მისაღებად.

12. რესპუბლიკური ტურის მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრებს განიხილავს რესპუბლიკის საორგანიზაციო კომიტეტი. რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის მოსწავლეები, რომლებიც ორივე ტურში მიიღებენ მაღალ შეფასებას („4“ ან „5“).

13. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში გამარჯვებულებს დასაჯილდოებლად წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 8, მთავრობის სახლი, განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება № 730

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1973 წლის 21 აგვისტოს განიხილა რესპუბლიკის მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უკანასკნელ ხანს გააუმჯობესეს მასების სამართლებრივი აღზრდისადმი ხელმძღვანელობა, გააქტიურეს პრესის ორგანოების, რადიოსა და ტელევიზიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების საქმიანობა საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის საქმეში

მაგრამ სამართლებრივი პროპაგანდისა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის დონე სრულიად არ შეესაბამება სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნებს რესპუბლიკაში სახელმწიფო შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების პრაქტიკულ ამოცანებს. 1972—1973 სასწავლო წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ შეისწავლა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის მდგომარეობა. შემოწმებამ ცხადყო, რომ დაბალია მოსწავლეთა სამართლებრივი ცოდნის დონე; მოსწავლეთა დიდი ნაწილი ცუდად ერკვევა სოციალისტური სამართლის ელემენტარულ დებულებებშიც კი.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გამოვლინდა ფაკულტატიური მეცადინეობის ჩატარების ორგანიზაციულ ფორმებში. მასწავლებელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ფაკულტატიურ მეცადინეობას ატა-

რებს ჩვეულებრივი ტიპის გაკვეთილის სახით. იშვიათად ეწყობა სემინარული მეცადინეობები, რეფერატები, კითხვა—პასუხის საღამოები. იურისტი მასწავლებლები საჭიროებენ პედაგოგიურ-მეთოდიკურ დახმარებას, მათ უძნელდებათ გაკვეთილის პროცესის სწორად წარმართვა.

აღნიშნული დადგენილებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაევალა. მიიღოს ზომები, რათა მოამზადოს და კვალიფიკაცია აუმაღლოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სამართლებრივი ცოდნის საფუძვლების მასწავლებლებს, შეიმუშაოს და სრულყოს სასწავლო გეგმები, პროგრამები, ძირითადი და დამხმარე მეთოდიკური სახელმძღვანელოები საბჭოთა სამართლის საფუძვლებში; მოაწყოს ამ საგნის მასწავლებელთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა შორის სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლების საკითხებზე; შესაბამისმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა საკვლევ თემატიკაში გაითვალისწინოს სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების კომპლექსური კვლევა და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება.

„რესპუბლიკის მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1973 წლის 21 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდისადმი. მთელ თავიანთ მუშაობას ამ საქმეში საფუძვლად დაუდონ სკკპ XXIV ყრილობის ფუძემდებლური მითითებანი, რომ „პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფას. რომ სამართლებრივი კანონის პატივისცემა თითოეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს“;

ბ) უზრუნველყონ საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა კანონმდებლობის ფაკულტატიური კურსის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენება. ამ საგნების სწავლება დააკისრონ ყველაზე მოწინავე, გამოცდილ მასწავლებლებს, შესაბამის ადგილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო და პროკურატურის ორგანოებთან შეთანხმებით ფარ-თოდ მიიზიდონ საბჭოთა კანონმდებლობის ფაკულტატიური კურსის მასწავლებლებად იურისტები—პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების გამოცდილი მუშაკები;

გ) პერიოდულად შეისწავლონ სკოლებში აღნიშნული საგნების სწავლების მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად; განაზოგადონ და დანერგონ სკოლებში მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის დადებითი გამოცდილება;

დ) უზრუნველყონ სკოლებში სამართლებრივი პროპაგანდის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. ფართოდ გააცნონ მოსწავლეებს იუსტიციის, მილიციისა და სახალხო სასამართლოს ორგანოების სტრუქტურა და მოღვაწეობა. ამ მიზნით რეგულარულად მოაწყონ სკოლებში ლექციები, მოხსენებები და კითხვა-პასუხის საღამოები იუსტიციის, მილიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა მონაწილეობით. დაეხმარონ სკოლებს მოზარდ დამრღვევთა შერჩევასა და აღნიშნულ ღონისძიებათა ორგანიზაციის საქმეში;

ე) სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის საქმეში უზრუნველყონ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ფართო მონაწილეობა. ამ საქმეში იხელმძღვანელონ სკკპ XXIV ყრილობის მითითებით, რომ „პარტიული ორგანიზაციები, პროფკავშირები, კომკავშირი მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ, რათა უზრუნველყონ კანონების უპირობოდ დაცვა, გააუმჯობესონ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა".

ვ) 1974 წლის 1 იანვრიდან VIII კლასში შემოღებულ იქნეს საუბრების ციკლი საბჭოთა კანონმდებლობის შესახებ. და ვალოს მეთოდურ განყოფილებას (ამხ. ლ. მნათობიშვილს) სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებთან შეთანხმებით მოამზადოს და წარმოადგინოს განსახილველად ამ წლის 1 დეკემბრამდე საუბრების ციკლის თემატიკა ამ კლასისათვის.

2. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) სისტემატურად მოისმინონ საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის გაკვეთილები და შედეგები განიხილონ პედაგოგიური საბჭოს შესაბამის მეთოდგაერთიანებათა სხდომებზე. ყოველი ღონისძიებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეუწყონ ხელი მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებასა და პრაქტიკაში დანერგვას;

ბ) გააუმჯობესონ მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის სფეროში კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, ხშირად მოაწყონ სკოლებში ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები მილიციის, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა ფართო მონაწილეობით; დანერგონ სკოლებში გამოფენების მოწყობა სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე.

3. განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძემ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკაში გაითვალისწინოს საკითხები სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლებისა და მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის შესახებ.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილმა) მიიღოს ზომები საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებლად იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოს იურისტ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება ძირითადად პედაგოგიკა-მეთოდიკაში, ხოლო ისტორიკოს მასწავლებელთა გადამზადება იურიდიული მეცნიერების დარგში.

5. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ზ. როგავამ) მიიღოს გადამჭრელი ზომები საბჭოთა კანონმდებლობის ფაკულტატიური კურსის სახელმძღვანელოს გამოცემის დასაჩქარებლად.

6. განათლების სამინისტროს მეთოდიკის განყოფილებამ (ამხ. ლ. მნათობიშვილმა) ა. წ. 20 ოქტომბრამდე გამოსცეს და დაუგზავნოს სკოლებს მეთოდური რეკომენდაციები საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების სწავლების აქტუალურ საკითხებზე.

7. შრომითი და პოლიტექნიკური სწავლებისა და სასკოლო ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. დ. გვილიამ), მეთოდურ განყოფილებასთან ერთად, სკოლების სასწავლო სატელევიზიო გადაცემათა პროგრამაში მეტი ადგილი დაუთმოს საკითხებს საბჭოთა კანონმდებლობის თემატიკიდან.

8. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) და მეთოდურმა განყოფილებამ (ამხ. ლ. მნათობიშვილმა) საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შესაბამის განყოფილებასთან შეთანხმე-

ბით შეისწავლონ V—VI—VII კლასებში საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე საუბრების შემოღების მიზანშეწონილობა და, ამასთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ წინადადებები,

9. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძემ და გრ. საჯაიამ) ფართოდ გააშუქონ საკითხები მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის შესახებ.

10. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) განახორციელოს მეთვალყურეობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

**საფუძველი** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 4 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ოზოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება № 744

### ნორჩ ფიზიკოსთა 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

გავეცანი რა ნორჩ ფიზიკოსთა 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ფიზიკის უახლესი აღმოჩენების ტექნიკაში ღრმად შეჭრამ და გამოყენებამ განაპირობა ის დიდი ყურადღება, რაც ამჟამად ეთმობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების საქმეს. მნიშვნელოვანწილად ამით იყო გამოწვეული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლა, რაც მიმდინარე სასწავლო წელს დამთავრდა. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, ფიზიკაში მოსწავლე ახალგაზრდობის უფრო ღრმა და საფუძვლიან მომზადებას ითვალისწინებს.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის სწავლების გაუმჯობესებისა და პოპულარიზაციის საქმეს, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ხელს უწყობს აგრეთვე ნორჩ ფიზიკოსთა ტრადიციული ოლიმპიადები, რომლებიც ყოველწლიურად ტარდება.

გასულ 1972—1973 სასწავლო წელს ორგანიზებულად ჩატარდა ნორჩ ფიზიკოსთა 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალური და რესპუბლიკური დასკვნითი ტურები. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სკოლებიდან ზონალურ ტურში მონაწილეობის მისაღებად შერჩეულ იქნა VII—X(XI) კლასების 3600-მდე მოსწავლე, რომელთაგან რესპუბლიკურ დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული იქნა 310 გამარჯვებული ნორჩი ფიზიკოსი

რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში ზონებიდან წარმოდგენილ VII—X(XI) კლასების გამარჯვებულ 310 მოსწავლის ნამუშევართა რეცენზირების შედეგად დასკვნით რესპუბლიკურ ტურ-

ში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 261-მა ნორჩმა ფიზიკოსმა, აქედანგაიმარჯვა VII კლასის 54 მოსწავლიდან 21-მა მოსწავლემ, VIII კლასის 66-დან—10-მა, IX კლასის 55-დან—14-მა და X კლასის 86 მოსწავლიდან 28 მოსწავლემ. გამარჯვებული ნორჩი ფიზიკოსებიდან I ხარისხის დიპლომით დაჯილდოებულ იქნა: VII კლასის I და IX კლასის I მოსწავლე; II ხარისხის—VII კლასის 6. VIII კლასის—2; IX კლასის—4 და X კლასის 11 მოსწავლე; III ხარისხის—VII კლასის—14, VIII კლასის—8, IX კლასის—9 და X კლასის 17 მოსწავლე.

დასკვნით რესპუბლიკურ ტურში გამარჯვებული 73 მოსწავლიდან საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შეირჩა და ნორჩ ფიზიკოსთა VII საკავშირო ოლიმპიადაში, რომელიც ქ. ლენინგრადში ჩატარდა, მონაწილეობის მისაღებად წარდგენილ იქნა 4 გუნდი 12 მოსწავლის შემადგენლობით, რომელთაგან ვერც ერთმა ვერ მოიპოვა გამარჯვება.

ნორჩ ფიზიკოსთა 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის კარგად მოემზადნენ და ორგანიზებულად ჩაატარეს როგორც შიგასასკოლო, ასევე ზონალური ტურები აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და გორის, მახარაძის, წყალტუბოს, ახალქალაქის, თეთრი-წყაროსა და ცხაკაიას რაიონების განათლების განყოფილებებმა, სკოლის დირექტორებმა და ფიზიკის მასწავლებლებმა.

რესპუბლიკურ დასკვნით ტურში მონაწილე აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სკოლების VII X კლასების 13 მოსწავლიდან გამარჯვება მოიპოვა 7-მა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლების 14 მოსწავლიდან 3-მა, ქ. თბილისის სკოლების 35 მოსწავლიდან 18-მა, ქ. ქუთაისის სკოლების 49 მოსწავლიდან 12-მა, ქ. რუსთავის სკოლების 15 მოსწავლიდან 6-მა, მახარაძის რაიონის სკოლების 6 მოსწავლიდან 2-მა, წყალტუბოს რაიონის სკოლების 7 მოსწავლიდან 4-მა და სხვა.

26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში საპატიო ადგილი დაიკავეს კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის VIII—X კლასების (29 მოსწავლიდან გაიმარჯვა 12-მა), ქ. თბილისის 42-ე (7 მოსწავლიდან გაიმარჯვა 4-მა) და 43-ე (4 მოსწავლიდან გაიმარჯვა 3-მა) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ამავე კლასების მოსწავლეებმა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული წარმატებების, ნორჩ ფიზიკოსთა 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალური და რესპუბლიკური ტურების ჩატარებისას გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებები. ასე, მაგალითად, ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, ყაზბეგის, ლენტეხის, ორჯონიკიძის, თერჯოლის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებები, სკოლების ხელმძღვანელები და ფიზიკის მასწავლებლები მთელი პასუხისმგებლობით არ მიეკიდნენ ამ მეტად სერიოზული ღონისძიებების ჩატარების საქმეს და ვერ უზრუნველყვეს ნორჩ ფიზიკოსთა 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში მოსწავლეთა მონაწილეობა.

რიგ ქალაქებსა და რაიონებში სათანადო ყურადღებით არ მოეკიდნენ და დროულად არ გაშალეს მუშაობა. სკოლებში VII-X (XI კლასების მოსწავლეები არ ავარჯიშეს საოლიმპიადო ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე, ხოლო ზოგიერთმა ზონალური ტურის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა სათანადო კონტროლი ვერ დააწესა ოლიმპიადის მიმდინარეობაზე, რის გამოც ქ. ზუგდიდის (4 მა მოსწავლემ), ამბროლაურის (7-მა), ბოლნისის (8-მ), გარდაბნის (12-მა), ზესტაფონის (4-მა), მცხეთის (2-მა), ონის (6-მა), ცაგერის (3-მა), წალკის (2 მა), ხობის (2-მა) მარნეულის (2-მა) დუშეთის 2-მა) და დმანისის (2-მა) რაიონების სკოლების VII-X კლასების 56 მოსწავლიდან ვერც ერთმა ვერ მოიპოვა გამარჯვება რესპუბლიკურ და კვნით ტურში.

ნორჩ ფიზიკოსთა 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში შედარებით დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს V!II და IX კლასების მოსწავლეებმა; ტურში მონაწილე VIII კლასის 86 მოსწავლიდან გამარჯვება მოიპოვა 16-მა, IX კლასის 55 მოსწავლიდან კი მხოლოდ 12-მა.

26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნითი ტურის შედეგებმა ცხადყო, რომ ზოგადსაგა მანათლებლო სკოლებში ჯერ კიდევ ფიზიკის მასწავლებლები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ გამოთვლითი, თვისობრივი და ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნას, საკონტროლო წერებისა და შიგასასკოლო ოლიმპიადების ჩატარებას, რის შედეგადაც ტურში მონაწილე VII-X(XI) კლასების 266 მოსწავლიდან „0“, „1“ და „2“ ქულა 106 მოსწავლემ მიიღო. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს VIII და X კლასების მოსწავლეთა დაბალი მომზადება. VIII კლასების 66 მო-

სწავლიდან „0“: „1“ და „2“ ქულა 39-მა მოსწავლემ მიიღო და X კლასის 86 მოსწავლიდან კი—41-მა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზონალური ტურის ჩამტარებელმა ზოგიერთმა საორგანიზაციო კომიტეტმა დროულად არ წარმოადგინა ცნობები ჩატარებული ზონალური ტურის შედეგების შესახებ.

ნორჩ ფიზიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალური და რესპუბლიკური დასკვნითი ტურების ორგანიზებულად და მაღალ აკადემიურ დონეზე ჩატარების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნორჩ ფიზიკოსთა 26-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნას პირველი ხარისხის დიპლომით 2 მოსწავლე, მეორე ხარისხის დიპლომით—23 და მესამე ხარისხის დიპლომით—48 მოსწავლე (სია თან ერთვის).

2. მიმდინარე, 1973—1974 სასწავლო წელს ჩატარდეს ნორჩ ფიზიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა ორ ტურად (ზონალური და რესპუბლიკური). პირველი—ზონალური დასწრებული ტური ჩატარდეს 1974 წლის 3 თებერვალს, ხოლო დასკვნითი—რესპუბლიკური ტური ორ ეტაპად (თეორიული და ექსპერიმენტული ტური) 1974 წლის 10 და 11 მარტს.

3. ნორჩ ფიზიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. მირიანაშვილი მათე—ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგე—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;

2. ტონია სერგო—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი—თავმჯდომარის მოადგილე;

3. ჯაჭუაშვილი მერი—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

4. ჭილაშვილი გურამ—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი;

5. კობახიძე ვალერიანი—პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

6. სანაძე თენგიზი—ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი;

7. გამცემლიძე გიორგი—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის გამგე;

8. ლონლაძე დავით—ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგე;

9. ხაზალაძე ოთარი—თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სწავლების ტექნიკურ საშუალებათა კათედრის გამგე;

10. სანაძე გრიგოლი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;

11. ჩუცკოვი ვასილი—თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;

12. ეპიტაშვილი გიორგი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი;

13. მნათობიშვილი ლევანი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური განყოფილების უფროსი;

14. ვახტანგაძე ოთარი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

15. გვალია დავით—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტის დირექტორი;

16. სურგულაძე შოთა—ქ. თბილისის განათლების განყოფილების სწავლების ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტის გამგე;

17. თალაკვაძე გრიგოლი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიკის კაბინეტის გამგე;

18. კიკნაძე გიორგი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორის მოადგილე;

19. ორჯონიკიძე გულნარა—ქ. თბილისის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

20. კობახიძე გრიგოლი—ქ. თბილისის 77-ე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი;

21. ობოლაძე მერაბი—თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი;

22. სვანიძე გივი—ქ. თბილისის მე-19 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

4, დამტკიცდეს ნორჩ ფიზიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება (თან ერთვის).

5. დაევალოს ნორჩ ფიზიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩამტარებელ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს:

ა) შეადგინოს სამუშაო გეგმა, უხელმძღვანელოს ოლიმპიადის ჩატარებას და გაწეული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს;

ბ) დროულად ჩაატაროს ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი მუშაობა და ქალაქები (რაიონები) უზრუნველყოს მეთოდური მასალებით.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ფიზიკის მასწავლებელთა სექციის სხდომაზე განიხილონ ნორჩ ფიზიკოსთა 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები და დასახონ ღონისძიებანი ფიზიკის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ბ) განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი ოლიმპიადის ზონალური ტურების ჩატარებაზე და რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში წარმოადგინონ ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ;

გ) აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, იმ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სადაც დებულების შესაბამისად შექმნილი იქნება ზონალური საორგანიზაციო კომიტეტი, 1973 წლის 16 ნოემბრამდე წარმოადგინონ ცნობა მისი შემადგენლობის შესახებ;

დ) აღნიშნული ბრძანება 1973 წლის 20 ნოემბრამდე დაიყვანონ სკოლებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საშუალო და რვაწლიანი სკოლების დირექტორებმა:

ა) მტკიცე კონტროლი დააწესონ ნორჩ ფიზიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მოსწავლეთა მზადების საქმეზე და მასობრივად ჩააბან ისინი ამ საქმიანობაში;

ბ) დროულად წარადგინონ სახალხო განათლების განყოფილებაში ფიზიკაში გამოვლინებულ საუკეთესო მოსწავლეთა სიები, ზონალურ ტურში მონაწილეობის მისაღებად.

8. საშუალო და რვაწლიანი სკოლების ფიზიკის მასწავლებლებმა სისტემატურად ავარჯიშონ მოსწავლეები გამოთვლითი, თვისობრივი, ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე, ჩაატარონ საკონტროლო წერები, სასკოლო ოლიმპიადები ფიზიკაში და დანერგონ მოსწავლეთა შორის დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) 1974 წლისათვის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძემ) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 1974 წლისათვის გამოუყოს ნორჩ ფიზიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობის საწერი ქაღალდი.

11. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) სისტემატური კონტროლი დააწესოს ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 25 ოქტომბრის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის
2 ოქტომბრის დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## ნორჩ ფიზიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის

1. ნორჩ ფიზიკოსთა 27-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადას ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტიკური და ქ. თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების მონაწილეობით.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს, გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა ფიზიკაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები და ხელი შეუწყოს სკოლაში ფიზიკის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო, საღამოს (ცვლის) სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების VII-X (XI) კლასების მოსწავლეებს.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება რესპუბლიკური და ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები.

ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები იქმნება ზონის ცენტრში, რომლის შემადგენლობაში შეყვანილ უნდა იქნან ზონაში შემავალი ქალაქის (რაიონის) წარმომადგენლები.

ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 9 წევრით, რომელსაც ამტკიცებს ზონის ცენტრის განათლების განყოფილება.

5. რესპუბლიკური და ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეთათვის აწყობენ მეცნიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაკთა და გამოცდილ პედაგოგთა ლექციებს მათთვის საჭირო თემებზე და ატარებენ პრაქტიკულ გარჯიშებს საოლიმპიადო ხასიათის ამოცანებზე.

6. ნორჩ ფიზიკოსთა ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად: პირველი—ზონალური, მეორე—რესპუბლიკური ორ ეტაპად (თეორიული და ექსპერიმენტული). ორივე ტური დასწრებულია.

პირველი—ზონალური ტური ტარდება ზონის ცენტრში, მეორე—რესპუბლიკური—თბილისში. ზონალურ ტურს ატარებს—ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი, რესპუბლიკურს კი—რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 28 ზონად, ზონების ცენტრებად შერჩეულია:

1. ქ. სოხუმი—აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის,
2. ქ. ბათუმი—აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის;
3. ქ. ცხინვალი—სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლების მოსწავლეებისათვის:
4. ქ. თბილისი—ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეებისათვის;
5. ქ. რუსთავი—ქ. რუსთავისა და გარდაბნის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;
6. ქ. ქუთაისი—ქ. ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოსა და მაიაკოვსკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის:
7. სამტრედია—სამტრედიის, ვანისა და წულუკიძის რაიონების მოსწავლეებისათვის;
8. ზესტაფონი—ზესტაფონის, თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
9. ქ. ფოთი—ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეებისათვის;
10. ცხაკაია—ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
11. ქ. ზუგდიდი—ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის, ხობისა და წალენჯიხის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
12. ქ. ჭიათურა—ქ. ჭიათურისა და საჩხერის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
13. ქ. გორი—ქ. გორის, გორის, ქარელის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;
14. მცხეთა—მცხეთის, კასპისა და დუშეთის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. ახალციხე— ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

16. ახალქალაქი—ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

17. ბოლნისი—ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

18. თეთრი წყარო—თეთრი წყაროსა და წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

19. თელავი—თელავის. ახმეტისა და ყვარლის რაიონების სკოლები მოსწავლეებისათვის

20. გურჯაანი—გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

21. მახარაძე—მახარაძის ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

22. ამბროლაური—ამბროლაურისა და ონის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

23. მესტია—მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

24. ცაგერის—ცაგერის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

25. ლენტეხი—ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;

26. ყაზბეგი–ყაზბეგის რაიონის სკოლების მოსწავლეეებისათვის;

27. თიანეთი—თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლებისათვის;

28. თბილისი—რკინიგზის სკოლების მოსწავლეებისათვის;

7. ზონალური ტურისათვის კანდიდატებს შეარჩევენ სკოლები იმ მოსწავლეთაგან, რომელთაც აქვთ სათანადო მონაცემები და სურვილი, მონაწილეობა მიიღონ ფიზიკის ოლიმპიადაში.

ამ მოსწავლეთა სიები, შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ, 1974 წლის 15 იანვრამდე ეგზავნება ზონის საორგანიზაციო კომიტეტს.

8. ორივე ტურისათვის ამოცანებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებს მიეცემათ გამოანგარიშებითი, თვისობრივი და ექსპერიმენტული ხასიათის ხუთ-ხუთი ამოცანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზონალური დასწრებული ტური ჩატარდება 1974 წლის 3 თებერვალს, ერთდროულად ყველა ლასისათვის.

ოლიმპიადის ზონალური დასწრებული ტურის ჩატარებისათვის ზონაში არსდება ერთი პუნქტი.

ამ ტურის ამოცანებს დალუქული პაკეტებით საორგანიზაციო კომიტეტები ფოსტით ან სპეციალური პირის საშუალებით მიიღებენ.

დრო ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია 4 ასტრონომიული საათით.

ზონალური დასწრებული ტურის ჩატარების დღეს დალუქულ პაკეტს ამოცანებით აუდიტორიაში, ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა თანდასწრებით, ხსნის ზონალური ტურის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

9. ზონალურ ტურში წერით ნამუშევრებს, ტურის დამთავრების შემდეგ ასწორებს ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტი. ცნობებს იმის შესახებ თუ რამდენმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და გამარჯვებულ მოსწავლეთა სიას ნამუშევრების თანდართვით უგზავნის რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს 5 დღეში.

10. ამოხსნილი ამოცანების შეფასება ხდება ქულებით თითოეული ამოცანის სწორი და სრული ამოხსნა შეფასდება ორი ქულით. ამოცანების ამოხსნას არაარსებითი ხასიათის შეცდომების დაშვების შემთხვევაში 1 ქულით, ხოლო დაუმთავრებელი ნამუშევრის წარმოდგენის, ან არასწორი პასუხისათვის მოსწავლეს ნული ქულა დაეწერება. გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის მოსწავლეები, რომლებიც 10 შესაძლებლობიდან მოაგროვებენ 6 და მეტ ქულას.

შეფასება იწერება თითოეული ამოხსნილი ამოცანის ბოლოს. აუცილებელია ყველა შეცდომის აღნიშვნა, სამუშაოს ბოლოში კომისია წერს ქულათა საერთო რაოდენობას და ხელს აწერს. ზონალური ტურის მონაწილენი, რომლებიც 10 შესაძლებლობიდან მოაგროვებენ არანაკლებ 6—6 ქულას, დაიშვებიან რესპუბლიკურ დასწრებულ ტურზე.

11. მეორე—რესპუბლიკური დასწრებული ტური ჩატარდება ორ ეტაპად: პირველი—თეორიული 1974 წლის 10 მარტს, მეორე ექსპერიმენტული—1974 წლის 11 მარტს ქ. თბილისში რესპუბლიკურ ტურზე დასაშვებ მოსწავლეთა სიას, ცალკე კლასების მიხედვით, საზღვრავს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარ, 15 დღით ადრე, აცნობებს ამის შესახებ შესაბამისი ქალაქის (რაიონის) განათლების განყოფილებას.

12. რესპუბლიკური თეორიული ტურის მონაწილეთა ნამუშევრებს ასწორებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი და გამოყოფს გამარჯვებულებს, რომლებიც დაიშვებიან ექსპერიმენტულ ტურზე.

დრო ექსპერიმენტული ამოცანის ამოხსნისათვის განსაზღვრულია 2 ასტრონომიული საათით.

13. რესპუბლიკური საორგანიზაციო ოლიმპიადაში გამარჯვებულთა სიას წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასაჯილდოებლად. I ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდებიან ის მოსწავლეები, რომლებიც თეორიულ ტურში მოაგროვებენ 9—10 ქულას, II ხარისხის დიპლომით 7-8 ქულას, III ხარისხის დიპლომით 6 ქულას და აგრეთვე გაიმარჯვებენ ექსპერიმენტულ ტურში.

ის მოსწავლე, რომელიც მხოლოდ თეორიულ ტურში გაიმარჯვებს, დაჯილდოვდება სიგელით.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნითი ტურის ყველა მონაწილეს მიეცემა სამკერდე ნიშანი და მოწმობა.

ჯილდოების გადაცემა მოხდება საზეიმო ვითარებაში.

14. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო დააჯილდოებს აგრეთვე იმ მასწავლებლებს, რომლებიც წარჩინებით ხელმძღვანელობენ წრეებს, ატარებენ ფიზიკის ცოდნათა პროპაგანდას, ხელს უწყობენ ამ საგანში მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას და რომელთა მოსწავლეები მოიპოვებენ წარმატებას.

**ნორჩ ფიზიკოსთა ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი**

ქ. თბილისი, აკ. წერეთლის პრ. № 1,
ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება № 747

### 1973—1974 წლების შემოდგომა—ზამთრის პერიოდში სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების სახანძრო უშიშროების შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი მითითებების შეუსრულებლობის შედეგად, 1973 წლის ზამთრის პერიოდში ადგილი ჰქონდა ხანძრის შემთხვევებს დუშეთის, ვანის, ზუგდიდის, წალენჯიხისა და წალკის რაიონების ზოგიერთ სკოლასა და საბავშვო დაწესებულებაში.

ხანძრების წარმოშობის მიზეზებს წარმოადგენენ ცეცხლთან გაუფრთხილებლობა, უწესივრო ელექტროგაყვანილობისა და გამთბობი მოწყობილობების ექსპლუატაცია, აგრეთვე სახანძრო უშიშროების წესების დარღვევით დროებითი თუნუქის ღუმელების ექსპლუატაცია.

რესპუბლიკის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მიერ განათლების სამინისტროს სისტემის ობიექტების შემოწმებისას გამოირკვა, რომ ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ხანძარსაწინააღმდეგო წესების უხეშ დარღვევებს. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა შექმნილი ქ. თბილისის ი. გოგებაშვილის სახ. ბიბლიოთეკაში, თელავის რაიონის შუამთის საბავშვო სახლში, ქ. თბილისის № 8 საბავშვო ბაგა და № 70 ბაგა-ბაღში, ზუგდიდის, ახმეტის, ლანჩხუთისა და გულრიფშის რაიონების საბავშვო ბაღებში და ქედის რაიონის სოფ. მედძიბნის რვაწლიან სკოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეინიშნება ისიც, რომ განათლების განყოფილებათა გამგეების ერთი ნაწილი ზოგჯერ არ ასრულებს განათლების სამინისტროს შესაბამის ბრძანებებსა და მითითებებს. ასე მაგალითად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის № 483 ბრძანებით გარდაბნისა და თელავის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს ევალებოდათ დაბა კოჯრისა და შუამთის საბავშვო სახლებში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და ჩატარებული მუშაობის შესახებ განათლების სამინისტროში მოხსენებითი ბარათების წარმოდგენა, რაც დღემდე არ შეუსრულებიათ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ამ ბრძანების მიღებისთანავე, ადგილობრივი სახანძრო ორგანოებთან ერთად, გულდასმით შეისწავლონ სასწავლო და საბავშვო დაწესებულებების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა და ოპერატიული ზომები მიიღონ გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ბ) ელექტროზედამხედველობის ორგანოების საშუალებით შეამოწმონ ელექტროდანადგარები და ჩაატარონ სათანადო სარემონტო სამუშაოები. ელექტროდანადგარები, რომელთა შეკეთებაც არ ხერხდება, გამორთონ ელექტროენერგიიდან;

დ) უმოკლეს დროში სრულ წესრიგში მოიყვანონ გათბობის სისტემები და საკვამლე მილები, აგრეთვე პირველადი ხანძარსაქრობი საშუალებანი. შეაკეთონ სახანძრო ონკანები, ჰიდრანტები, აუზები, წყალსაცავები და უზრუნველყონ ისინი მისასვლელი გზებით;

ე) არ დაუშვან დროებითი თუნუქის ღუმელების ექსპლუატაცია სახანძრო ორგანოების მიერ წინასწარი შემოწმებისა და ნებართვის გარეშე;

ვ) ხის კონსტრუქციები დაამუშაონ ცეცხლგამძლე ხსნარით, სულ წესრიგში იქონიონ სასხვენო სათავსოები;

ზ) სახანძრო უშიშროების განმტკიცების მიზნით, სახანძრო დაცვის ორგანოების დახმარებით, ჩაატარონ სკოლის პედაგოგიურ

კოლექტივებსა და მოსწავლეთა შორის ლექცია-მოხსენებები და თემატიკური საღამოები.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წ. 25 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე
1973 წ. 22 ნოემბერი

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა, რომლებშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება

### 1. ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

1. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, რომელშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მიერ ერთ-ერთი უცხოური ენის პრაქტიკულად დაუფლებას შემდგომში სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში სამუშაოდ. თავის მუშაობაში სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის წესდებითა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ამ დებულებით.

2. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, იხსნება „უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ" არსებული დადგენილების საფუძველზე. სკოლა შეირჩევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესის მიხედვით, მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებისა და აუცილებელი სასწავლო-მატერიალური ბაზის გათვალისწინებით. ამ სკოლას ხელმძღვანელობს და აფინანსებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

### II. ს კ ო ლ ა შ ი ბ ა ვ შ ვ ე ბ ი ს მ ი ღ ე ბ ი ს წ ე ს ი

3. ყოველი სკოლისათვის, რომელშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, მიკრორაიონს განსაზღვრავს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება

ამ სკოლაში, ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, შესაბამის განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით, შეიძლება ბავშვები მიღებულ იქნენ სხვა რაიონებიდანაც.

4. ზოგიერთი საგნის უცხოურ ენაზე სწავლების ახლად გახსნილ სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვა პირველ კლასში და აგრეთვე მეორე და მესამე კლასში ხდება წელიწადში ერთხელ მშობელთა ან მათ შემცვლელ პირთა განცხადებისა და ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ სამედიცინო ცნობის წარმოდგენის საფუძველზე. სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვები ასეთი ტიპის სკოლებში ვერ ჩაირიცხებიან, რადგან სასწავლო დატვირთვა იქ უფრო დიდია, ვიდრე მასობრივ სკოლებში. ბავშვებისათვის რაიმე შემოწმების მოწყობა აკრძალულია. ვაკანტური ადგილების შემთხვევაში მოსწავლეთა ჩარიცხვა შეიძლება გაგრძელდეს წლის განმავლობაში.

5. იმ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება, რომლებიც ზოგიერთი საგნის უცხოურ ენაზე სწავლების სკოლიდან გადმოდიან, ამავე ტიპის სკოლებში არ ხდება.

6. სკოლებში, რომლებშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, ცალკეულ შემთხვევებში, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების ნებართვით, შეიძლება მიღებულ იქნან მოსწავლეები მასობრივი სკოლებიდან იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოამჟღავნებენ უცხოური ენის ცოდნას რიგი საგნების უცხოურ ენაზე სწავლების სკოლის შესაბამისი კლასის პროგრამის მიხედვით.

## III. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია და შინაარსი

7. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, მუშაობს ტიპური სასწავლო გეგმის შესაბამისად ამ ტიპის სკოლებისათვის შექმნილი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 30-ით განისაზღვრება. უცხოური ენის გაკვეთილის ჩასატარებლად კლასი სამ ნაწილად იყოფა, თითოეულში—10 კაცი.

ყველა სასწავლო დისციპლინის სწავლება, გარდა უცხოური ენისა, წარმოებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დადგენილი ერთობლივი პროგრამების მიხედვით. მათ შესასწავლად განკუთვნილი დროის შემოკლება აკრძალულია.

8. უცხოური ენის სწავლება იწყება პირველი ან მეორე კლასიდან. მოსწავლეთა ენობრივი მომზადების სრულყოფისათვის ზღვარგარეთის მხატვრული ლიტერატურის ცალკეული ნაწარმოებები, აგრეთვე საკითხები შესასწავლი ენის ქვეყნის ისტორიასა და გეოგრაფიიდან შეიძლება შესწავლილ იქნეს უცხოურ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებში, რომლებშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, შრომითი სწავლება ხორციელდება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამის მიხედვით, ხოლო IV—X კლასებში ამ საგნისათვის განკუთვნილი საათები გამოყენებულ უნდა იქნეს ტექნიკური თარგმანის ან უცხოურ ენაზე მანქანაზე ბეჭდვისათვის.

9. უცხოური ენის სწავლების მთელ პერიოდში სისტემატურად ტარდება კლასგარეშე მუშაობა უცხოურ ენაზე (ლიტერატურული საღამოები, წრეების მეცადინეობა, კედლის გაზეთების გამოშვება, არადუბლირებული უცხოური ფილმების ჩვენება და ა. შ).

10. სკოლაში, რომელშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, გარდა მასობრივი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისათვის დადგენილი სასწავლო კაბინეტებისა, უნდა იყოს უცხოური ენის კაბინეტებიც.

11. სკოლის ბიბლიოთეკები, გარდა ქართული და რუსული წიგნებისა, კომპლექტდება ლიტერატურით იმ უცხოურ ენაზე, რომელიც ამ სკოლაში ისწავლება.

12. უცხოური ენის კაბინეტების მოწყობილობა, სასწავლო ხელსაწყოები და ლიტერატურა უცხოურ ენაზე სკოლებმა უნდა მიიღონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის არსებული ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და სასწავლო მოწყობილობათა სიის შესაბამისად.

## IV. პედაგოგიური პერსონალი და სკოლის სხვა მუშაკები

13. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, რომელშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, მთელი სკოლის საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი, რომელიც ინიშნება სათანადო ორგანოს მიერ და, როგორც წესი, ფლობს იმ უცხოურ ენას, რომელიც ისწავლება მოცემულ სკოლაში.

14. ზოგიერთი საგნის უცხოურ ენაზე სწავლების საშუალო სკოლაში დამატებით შემოღებულია სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობა. იგი პასუხისმგებელია უცხოური ენის სწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების მდგომარეობაზე, აგრეთვე აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებასა და მის ორგანიზაციაზე. უცხოურ ენაში დირექტორის მოადგილე, სკოლის დირექტორის წარდგინებით, ინიშნება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების მიერ უცხოური ენის უმაღლესდამთავრებული მაღალკვალიფიციური, პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟის მქონე მასწავლებელი.

